აწ ამბავი ინდოთ ხელმწიფისა მოიხსენიეთ. დიდმა ხელმწიფემ რაჰინდმა თავის ასულის მოსვლისთვის დიდს სიხარულს მიეტა, მაშინვე დიდი ცეცხლის დაგზნება უბძანა, მონათა ბძანება ადარულეს, მოიყვანეს რამოდენიმე კაცი და ცეცხლს შესწირეს, იგი საბრალდანი ცეცხლში დასწვეს. როდესაც რაჰინდი ბრძოლის ველიდამ გამობრუნდა თავის კარავსა ჩამოხტა, სარდალთა და ფაღვეანთა სარვიხურამანის წინ მიეგებება უბძანა და ჰატით მოყვანა. როდესაც ივინი გაემართნენ, წინ სარვიხურამანის ძიძა შემოეყარათ და იგი ვერა ჰმთავეს. უკუ შემოიქნენ და ხელმწიფის წინაშე მოვიდნენ. რაჰინდმა ძიძას უბძანა: სად არის ჩემი სატრთფო ასული სარვიხურამანი? ძიძამ მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეო! რა ომი გადაწყდა, მუნიდგან ამბავი აღარა ვიციარაო, ამ ამბის მსმენელი რაჰინდი არა მტირესა მწუხარებას მიეტა. რა მტირე ხანი გამოსდა სარვიხურამანი მაინც არ მოვიდა, რაჰინდმა იმის საძებნელად აიარნი გაგზავნა. აგრეთვე ძიძამ რამოდენიმე ფაღვეანი ქალები თან წაიყვანა და მის საძებნელად გაემართნენ, იმ ალაგს მიაღწიეს სატა უარამანს და სარვიხურამანიც.

რამის ბრძოლა ჰქონდათ, იქ სარვიხურამანი იხილეს. რომელსაც ზირს სბურველი მოშლოდა და მას იკეთებდა, მისი მხსველი ძიძა და სხვა ფა-
ლეგები დიდს სიხარულს მიეცნენ, ძიძა მსწრაფლ მივიდა და ფეხთა
მოკეცა. სარვიხურამანი ცხენს შეჰჯდა და ლაშქრისაკენ წამოვიდა, თავის
ძიძის საიდუმლოდ უთხრა: „მე დიდს განგვირგვინს მივცემივარ რომ იმ
ძლიერმა ჭაბუკმა მომინადირა, მძლია, ცხენიდან გამომავლო და აღარც
მიკადრა, მე დამავლო და თვით წავიდა“, ამ სიტუვასე ძიძა დიდად გაჰ-
ვირდა და მოახსენა: ჭეი! კეკლეუტა დედოფალა, ჭაბუკმა ვინმემ რომ
შენებრ მშვეებით უკლები ხელთ იგდოს და სიტურფე განიცადოს, ხე-
ლი ვით არ შესხება რომ გავნოს რამე, მაგრამ მე ესე ვგონებ რომ იმ
ჭაბუკს თავთაცან ჭეკა დაჰფანტვია, უცნობა შექმნიდა და თავის ცხენს
უკვლად რომელსამე მხრისაკენ გაუტაცნია. ჭეი, მხათობთა ხელმწიფეა!
სიხარულსა ნუ მოეშლები, მას ჭაბუკს სცა აქნება ვზოვებთ და ხელთ
ვიგდებთ. ამ სურბით თავიანთ ლაშქარს მივიდნენ, დუგზდი-ავსარ აი-
არი ხელმწიფესთან შევიდა და მოახსენა: ხელმწიფეა, თქვენი ასული კა-
რავს გახლათ. რაჰინდმა დიდებულთა უბძანა, წინ მიგებება, ეველანი
მიგებენ და დიდის ზატვიით ხელმწიფესთან შემოიყვანეს. სარვიხურამანი
წინ წარსდგა, ზირი მიწას გაერთებით სლავი მოახსენა და დალოცა.

რაჰინდი ზე აღზდგა, თავისი ასული გულს მიიკრა და მშვიდობით
მოიკითხა, სარვიხურამანი თავის შესაფერს ალავს დასვა, სუფრის მო-
ღება ბძანა და ნადიმი დაიდგეს. რა ღვინის სმაში შევიდნენ, რაჰინდმა
ომის ამბავი იკითხა და თავის ასულს უბრძანა: ჭეი, თვალთა ჩემთა ნა-
თელა! იგი ამჟი ფალეგანი, რომელიც შენ გებძოდა, რა იქნა? სარვი-
ხურამანმა მოახსენა: ხელმწიფეა, დამის სიბნელემ გაკვყარა და არ ვიცი
რომელს მხარეს წავიდა, მაგრამ მისი ფიქრი გულსავე ჩემსა არის და
მის საქმეს გაუგვირგვინებარ! ხელმწიფეა, აწ უძილობისაკენ მეტად შეწუ-
ხებული ვარ, დასტურის წყალობას ვითხოვ, რომ ჩემს კარავს წავიდე და
მცირეს ხანს გმნვისგენყოფ. რაჰინდმა წასვლა უბძანა, იგიც გამოვიდა და
თავის კარავს წამობძანდა. ერთს მხანს უბძანა, დუგზდი-ავსარ მომიყვან-
ე, მხანამ ფიცხლავ ბძანება აღასრულა, მან გრძნეულმა ზირი მიწას გა-
ერთებით ქალი დალოცა და ქება შესხა. სარვიხურამანმა უბძანა, ეფველ-
თა აართა სარდალა! ამდამ შენ ჩემთან წამოდი, ნუ თუ დრო ვზოვოთ
და იმ ამჟი ფალეგანს თავი ტანიდგან განვაშრომთ. დუგზდი-ავსარმა
მოახსენა: ჭეი, ქვეყნის მხათობთა დედოფალა, იმათ ლაშქარში ერთი
აარი არის, სახელათ გარდასქემის უხმობენ, მისი გრძნეულობის ქება
ეფველს ქვეყანას გათქმულა, მისის შიშით ვის ძალ-უძის უმანგის ლაშქ-

რის სიახლოეს მისვლა? ქალმა უხასუხა: ჩემი სწავლელი გარდანქმენის შეურა არ არის და არც იმისაგან მეშინიან და თუ რაგორმე შემოგვხვდა იგივე შეინახებსო, ესე სთქვა, სლამურის ტანისამოსით შეიმოსა და სომარის იარაღით შეიჭურვა, მარჯვნივ და მარცხნივ წელში ხანჯლები გაიჭრა, ძიძა და იგი აირი თან იახლა, ფარულად, თავიანთ ღაშქარს გავიდა. რა უმანგის ღაშქარს მიუახლოვდნენ, დუგზდი-ავსარს უბანა: იგი კაცი ვინ იყო, რომელიც გუშინ მებრძოდა?

გრძნეულმა მოახსენა: მე ესოდენი ვიცი, რომ იმ ფალგანს უარმანს უხობდენ, დიდი ხანი არ არის რაც იგი უმანგ-შაჰს მოსვლია და სხვა არა ვიცირაო. სარვინურამანმა ჰკითხა, მისი კარავი რომელს მხარეს სდგასო? დუგზდი-ავსარმა მოახსენა: მე არც მისი კარავი ვიცი და არც მის სიახლოეს ძალმიძს მისვლა, თუ გნებავთ აქვე მომიკალით და გერგობებით, რადესაც ქალმა მისგან ისეთი შეშინება ისმინა, სთქვა: ერთი მოშიშარი ამხანაგის ფალას უეფლობა სჯობიაო, დუგზდი-ავსარი იქვე დაგლო, ძიძა თან იახლა და გაემგზავრა. რა ქეშიკთა განვლო და ღაშქარს მიუახლოვდა, ერთი კაცი ნახა, რომელიც ცხენებს აძოვებდა, მას ჰკითხა, მოუვარო! ვინა ხარ, მან უხასუხა: მე უმანგის პირველი მეჯინბე ვარო, კვლად ჰკითხა, ხელმწიფისა და უარამანის კარავი რომელიაო? მეჯინბემ კარვები დანახა.

რა ამ საუბარს იფენენ სარვინურამანი წინ წარსდგა, იგი მეჯინბე შეიპურა და ხეზე მიაკრა, იმისთვის რომ მათი ამავი არავის ეცნა და თვითონ წავიდნენ. იმ დამეს უმანგ-ხელმწიფეს დიდი ნადიმი გადაეხდა, დამის ნახევრობადის დიდ-ძალი დვინო ესვათ, ფალგანის თავ-თავისად წასუდიფენენ და უმანგსაც მოესვენა. ასიმს და შირფანჯა აიარს ხელთა ნაჯახი ეპურათ და ხელმწიფის კარს იდგნენ, სხვა დარაჯინც მღვიძარებდნენ და კარავს კარს უვლიდნენ. სარვინურამანი მათში გაერია. მათ ვერ იგრძნეს, ქალმან ოთხივე მხარე შემოვლო, ნახა რომ ოცდაათოთხმეტი უცხო სახელმწიფო კარავნი მძიმის ფარჩის სლათარდებით შემოხვეული იდგა, რომელ მხარესაც ხელმწიფის კარავი იდგა, დარაჯინი სრულიად მღვიძარებდნენ. ხელთა რკინის კეტები ეჭირათ და კარავს გარს უვლიდნენ. ქალი და ძიძა მუნიდგან გაბრუნდნენ და უარამანის კარავს მივიდნენ. მისთა დარაჯთა უვლას ეძინათ. მათგანნი რამდენიმე მოკლეს, ცალ მხარეს კარავი ხანჯლით გარდვიეს და შიგ შევიდნენ. უარამანი ტახტზედ ძილად იწვა, მისთა მონათაც დასძინებოდათ. მათგანნი ზოგნი დარცეს და ზოგნი ბანგით უცნობო შექმნეს. სარვინურამანმა ხელთა ხანჯალი იპურა და უარამანს თავს ტანიდან გამოკრებას უპი-



რება. რა ხალხს მივიდა და ვარამის სხე გაშინჯა, რომლის შუქი
 სლავარდას მისდგომდა. მისთა ღვაწთა ელვარება მზის ელვარებას
 ემზგავსებოდა. ორმოცდაცხრამე წყურთა სიმადლე ქქანდა და ოცდაერთი
 მწყურთა მკერდის სიბტუე, მის მზგავსი ფაღვანი არც ენახა და არც ამ-
 ბად სმენდა. მისებრი ჭბოუეი არც შობილიყო და არც იშობებოდა, ვარა-
 მანს ფაღვანობის შეხედვის შესაფერი მშვეებებაცა ქქანდა. რგორც მე-
 ლექსეთა უთქვამთ:

ერთი ურმა კაცი იხილა, უსწორთა მამაცობითა,
 ვითარ ეძებდა სატრფოს, აწი ჭზოვა შემეუფლობითა,
 მახვილი წვილილი განვარდა და სჭვრეტდა ვითა და ვითა,
 ქვეყნად ვერას ამგზავსა, სთქვა; მოსულა შვილის ცითა!
 ესრედ იტყვის: რა შემემთხვა, რამან შემქნა ესრედ ხელად?
 სიმხნე ჩემი გავლახავდა, აღარ მიმძიმს წასვლა ზეჲდა,
 სულს გავსწირავ, სულად ვსახავ, ვიტყვი ჩემად დამამხველად
 და თუ ამან არ იხებოს, აწვე გავიჭრები ველად.

უღვაში იას მგზავსად ახლად აშლოდა, ღვაწნი ვარდისებრ აჭვე-
 ვებოდა, ზედ ცის ნამის მზგავსი ოფლი მისვლდა, მეფნის ტბათა ს-
 გუბარნი თვალნი დაეხუჭა, სიციხისგან საბანი გადაეხდა და ბრალის
 მკერდი გამხსენდა. რა სარვიზურამანმა ვარამისის ისეთი მშვეებუა ნახა,
 მისი სიეგარულის ისარი გულსა გაეყარა და საზარლად ამოიხსრა, ხე-
 ლი აუთრთოლდა, ხანჯალი ხელთაგან გავარდა და უცნობა იქმნა. ვა-
 რამანის სართულზედ თავი მისდვა და მისსა ჰვაროვნობას ჰყენსავდა.
 ზირველი მისი განზრახვა ესე იყო, რომ ვარამისისთვის თავი მოეკვეთა
 და რაჭინდისთვის მიერთმევიანა, მაგრამ ემისს სავდებულმან მისი გული
 ისე შეჭკრა რომ ცნობა მასთანვე დარჩა. რა გონების მოკეცა, სიუვარუ-
 ლის ტვირთი უარესად განუმრავლდა და თავისი ზირველი განზრახვა სრუ-
 ლად დავიწვდა და ესრედ სთქვა: „სქე! ვითარს მოუთმენელს გრძნობას
 ჩავაგდე თავი ჩემი! მაშასადამე ახლა კი საქმის დონე უნდა მოვძებნა“,
 მამინ ესე ლექსი სთქვა:

ლომი მზერს ლომსა, სარეცელს მწოლსა, აზირებს ომსა მარა რის სწორსა
 ფიქრობს რამე ვჭეო, სული გამეყო, ხელი ვითარ ვეო უებრო მძოვრსა!
 დასწერდა წიგნსა, არ განწირსა, სულის სატირსა, იტუოდა ორსა
 და ამბობდა თვისსა, რიცხავდა მისსა, ზავების მრისსა, ვითა სსწორსა.

ქალმა სწორელი და კალამი ამოიღო, წიგნი დასწერა და ვარამისის
 თავიქვე ამოზღვა, თითიღვან ბეჭედი წაძრო და თითონ გაიკეთა, ზე
 აღზღვა და კარავილამ გამოვიდა, მაგრამ სიშორის მწყურება უმრავლდ-



ბოდა და გულის შინა სთქვა: ესეთი საქმე ჩემ სიცოცხლეში არ დამართობია, ეს რა მომეფლინა რომ ცნობა დამეთანტა! მე ამ ლაშქართაგან უსახელოდ როგორ წავიდეთ? ამაღამ ჩემი ძალ-გული ამით უნდა ვაჩვენო: ამისთანა ფიქრით მტირე წარვლო და უშანგ-შანის კარავს მივიდა, დარაჯთა დასძინებოდათ, მათ შინარეთა წამალი რამ მისცეს და უტნობო იქმნენ, მათგანი რამოდენიმე მოკლეს და კარავს შევიდნენ. უშანგ-ხელმწიფეს ტახტზე ეძინა, თავით და ფეხით მურასა შანდღებით სანთელი ენთო. რა ესე იხილა, სთქვა: ვაი თუ აქ აიარი იფას ვინმე მზვერავი, ოთხსავე მხარეს დათვალიერა, ვერავინ ვერა. დარაჯთაგანი კვალად რამდენიმე მოკლა, ენება რომ ხელმწიფის სიახლოვეს მისულიყო და მისი საქმე მარჯვედ მოეყვანა. ამ დროს აგრეთვე გარდანქეშან აიარს თავის კარავს ეძინა, გარდანქეშანს საკვირველი სიზმარი ეზმანა, ზე წამოიჭრა, ნაჯახი ხელთა აიღო და ხელმწიფისაკენ წამოვიდა. რა კარავს შევიდა, ნახა რომ ერთი ვინმე შავის ტანისამოსით მისილი, ტახტთან მივიდოდა, ხელთა ნაჯახი ეპურა და ხელმწიფის სიკვდილს აზიარებდა. რა ესე იხილა გარდანქეშანმა, თავთაგან ცნობა დამეთანტა, კარავს უფურა ნახა რომ, ერთი მხარე ნაჯახით გარდუეულია და იქილამ არის შემოსული, მტირე ხანს დაფიქრდა და სთქვა, ნეტა ვინ იქნება? ამ ჟამად იგი შავით მისილი არსება ხელმწიფეს დაუახლოვდა სასიკვდილთ. მაშინ გარდანქეშანმა ნაჯახი შესტურარცნა და ხმა უყო: „სწი მესისხარო! ამა მზად იყავ, რომ მე ვარ გარდანქეშან აიარი, შენთა სულთა უწყალოდ ამამხდელია“. ამ ხმაზე ქალმა მოიხედა, მისგან ნასროლი ნაჯახი დასცდა და შორს დაეცა. ქალმა გარდანქეშანს შემოუტია და გარისხებულმა ისეთი სილა შემოჰქვრა რომ გარდანქეშანი სამჯერ ეირაზე გადატრიალდა და ქვე დაეცა, მაშინ სხვა დარაჯთაც გამოეღვიძათ და ხმანობა შექმნეს. ქალს ადარ დასცადა რომ, გარდანქეშანი ზერობილად წაეყვანა როდესაც დარაჯთა ხმანობა შექმნეს, მაშინვე კარავილამ გავიდნენ და რომელსაც გზასა მოსულიყვნენ იმავე გზას წავიდნენ. დარაჯნი და შინა ემანი უკან გამოეკიდნენ და მათ შეზურბობას ცდილობდნენ, ქალი და თავის ძიძა მობრუნდნენ, მათგანი მრავალი დახოცეს და თვით წავიდნენ. ამ აყალმუაღზე მრავალ სარდალთა და ფაღუვანთა გამოეღვიძათ, უკვლანი მოვიდნენ ხელმწიფის კარავს, ნახეს რომ მრავალნი დარაჯნი ეყარნენ დახოცილნი, დიდად გაიკვირვეს, მსწრაფად კარავს შეტვირდნენ, იქ გარდანქეშანი დახედილი იხილეს.

ხელმწიფეს გამოეღვიძა და ამავეს იკითხავდა, გარდანქეშანი ცნობას მოვიდა, ზე აღსდგა და ხელმწიფე დალოცა. ხელმწიფემ უბრძანა: „სწი აიართა სარდალო! ეს რა ამბავია, ან სიზმარი იყოფ?“ გარდან-



ქეშანმა მოახსენა: ხელმწიფეო, ამაღამ ჩემს კარავს შეძინა, ერთი სანჯარო სიზმარი ვნახე, მსწრაფელ გამომეღვიძა, ზე აღუზდეგ და აქეთ წამოველ რა თქვენს კარავს შემოველ, ერთი სისხლის მღვრელი ფაღვეანი იღვა, ხელთა ხანჯალი ეზურა და თქვენს საკლავად გამზადებულიყო. რა იგი ვნახე ნაჯახი ვესრფლე, თუმცა იგი ნაჯახი იაღბუხის მთას მახვედრდა და იმასაც კი დაქტეუდა, მაგრამ მას ვერ მახვდა. მე შეწადა რამ იგი ცოცხალი შემეზურა, მაგრამ რა ახლას მიველ ერთი ისეთი სილა შემომპირა რამ მასვე წამს ცნობა დამეფანტა და ქვე დავეცი. რა ესე ამბავი მუნ მეფეთა ესმათ, დიდი ქება შეასხეს და სთქვეს: შაბამ მისსა ფაღვენობას რამ ამისთანა დიდის ხელმწიფის კარავს სამტეროდ შემოსვლა გაბედოს და გარდანქეშანისთანა აიარი ერთის შემოკურით ესე შებნიდოს, ამოდენ უთავდავ ღაშქრისაგან უზრებულადც წავიდესო.

გარდანქეშანმა ხმა მდლას დაიძახა, თუ ღმერთი გწამთ ყარამანის ამბავი შეიტყუეთ. ამ მღვეართა ხმიანობაზე ყარამანსაც გამოეღვიძა, რა თვალი ადახვნა, ხანჯალი მიწას დარქობილი და წიგნი თავით მდებარე იხილა, დიდათ გაიკვირვა, წიგნი ხელთ აიღო, ხელმწიფის კარს მივიდა და იგი წიგნი უშანგ-შაჰის მართავა. ხელმწიფემ ვეზირს უბოძა, და წაიკითხა, ესრედ ეწერა: «წე! ფაღვეანო, ამ ღამეს შენდა სასიკვდილოთ მოველ, რა გიხილე ახალ მოწიფეებელი ერმა კაცი ძილად მწოდლი, შევიწყაღე ჭაბუკობა შენი და ამიტომ თავი ტანიდამ არ გაგიშორე. რა წამსაც გამოგეღვიძოს უშანგ-შაჰის სამსახური დასტოვე და რაჭინდის სამსახურში მოდი, შენ არ გეკადრება უშანგ-შაჰის სამსახური. მოდი ინდოეთის ხელმწიფეს დაემორჩილე, ვინაიდან ხელმწიფის სამსახური გნებავს, ფაღვეანთა პატრის ცემა სხვათაგან ამან უკეთ იცის. თუ ამ სიტუვას არ იმენ, გაფრთხილდი რამ, ერთ ღამეს მოვალ და თავს ტანიდამ განგიშორებო».

რა ესე წერილი წაიკითხეს, დიდ განკვირვებას მიეცნენ და ესე სთქვეს: ნეტა ვინ უნდა იეოსო, რამ ამ გვარი სიტუგები დაუწერიათ? მაშინ ზორაბ-ჰინდი წარმოხდგა ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: «რაჭინდს ერთი ასული უზის, სახელად სარგვიხურამანი ეწოდება. რა იგი ცხენსა ამხედრებულა მისთვის ომი ვერავის გაუსწორებია, იმ ქალს ადოქმა აქვს დადებული რამ ვინც იმას ძალით მოერევა ქმრათაც იმას შეერთავსო, მისნი ტრთიანნი ხელმწიფეთა ტომნი ყოფდის ქვეუბებიდამ მომსვლენნი მრავალნი დახცილან რადგან ომი ვერ გაუსწორებიათ იმისთვის. იგი ცდა სამის წლისა არის და იმისაგან დახცილს რიცხვი არ შეეკდება სწორედ ეს საქმე იმის ნაქმნარი უნდა იეოსო, აიარობაშიც უცხოთ



არის დასკვნებზე, ისე რომ აიარა მასთან ვერ გამოხატვის, არის საკვირველი რომ უარმანი არ მოუვლავსო. მე ესრედ ვგონებ, რომ იგი ქალი უარმანს გამოიწვევს და ამისთვის სასიკვდილო ვეღარ გაუმეტნია; ხელმწიფეო, მის ქალისგან ვეგვას სიფრთხილე გვმართებსო. რა ესე ამბავი ხელმწიფეს და დიდებულთა ესმათ, გულის შიში გაუმრავლდათ. უარმანი ჩაიფრდა და მაშინვე მიხვდა რომ, წინა დღეს მწუხრის უამადის რომ შებრძოდა და ცხენიდან ჩამოვარდა იგი იქნება, — ამ ქალის საქმეს დიდათ ჰგვირბობდა.

აქ სარგისურამანის ამბავი მოიხსენიეთ.

ქალი იგი თავის ძიძით იმ ალაც მივიდა, სადაც მეჯინიბე ხეზე მიეკრა, იგი ახსნა და განთავისუფლდა, თითონ გაემართა უმანგის ქეშიკებისაკენ, იმ დამეს ქეშიკების უფროსი ბარამ-ჯიბილი იყო, ბარამს განთავადის დროს თავიანთ ღაშქრიდამ რაღაც ხშიანობა და ომის ხმა მოესმა, მარტორქას შეჯდა და აქეთ-იქით მიმოიხედვოდა, ხანა რომ ორნი ქვეითნი კაცნი მისკენ სწრაფის სიარულით მოდიან. მაშინვე მარტორქა მათკენ გაივლო და ხმა უყო: ვინა ხართ, ანუ ამ დროს ღაშქრიდამ სად მიხვალთ? ამ უამად იგინი მომავალიც ბარამს მოუხლოვდნენ და უბასუხეს: „თუ თავისა შინის სიტყვსე გინდა, გზიდან ჩამოგვეტყალო“. ამისთანა ზასუხის მსმენელმა ბარამმა ღაშქრს ხელი მიჰყო და სარგისურამანს დასკვავად შეუმიძღვა: ვიდრე იგი ღაშქრს დაჰკრავდა, სარგისურამანმა ხმაღს ხელი მოივლო, ბარამის მარტორქას ჰკრა და წინა ფეხები დაურევიანა. ვიდრე მარტორქა ძიძის დაეცემოდა, ბარამი ქარის უმაღლესად მიწას გადახტა და სარგისურამანს ქვევითად მიმართა, სარტყელს ხელი მიჰყო, მედგრად ასწია, მაგრამ ვერცა თუ შესძრა. შემდეგ სარგისურამანმა ძალის მოიხედუელმა ბარამი აზიდა, აიყვანა თავს შემოივლო და მიწას ისე დასცა რომ ბარამს სული შეუტეოდა და უცნობო შეიქმნა. სარგისურამანმა მაშინვე ხელები შეუკრა. რა უმანგის ქეშიკთა ესე იხილეს, ერთობით შემოეკრიეს, სარგისურამანმა ძიძის ბარამის წაყვანა უბძანა, თვითონ ხმაღს ხელი მოივლო, ქეშიკთა შეუტია და ერთმანერთს ჰკრა მრავალი დახტვა და სხვანი დაფანტა, თვით გამობრუნდა ძიძის მოქწია და იმ ალაც მივიდნენ საცა დუგზდი-ავსარ გრძნეული დაეგდოთ. თავის ამბავი მას აიარს უამბო. გრძნეულმა დიდად გაიკვირვა, დიდი ქება შეასხა. ბარამი ჯიბილი დუგზდი-ავსარმა იტვირთა და მუნიდამ წამო-

ვიდნენ, თვისს ღაშქარში მივიდნენ და ბარამი ძიძის კარავში შეინახეს.

რადღა გათენდა და სიბნელის ზეწარი დაიხია, სარვიხურამანი სახელმწიფო სამოსლით შეიმოსა და თავის მამასთან მივიდა, რაჭინდის ხელმწიფობა დალოცა და თავის ალაც დაძინდა. რაჭინდმა თავის ასულს ქება შესხა და მრავალი თქუაშეუბი უბოძა, მას ღაშქართა შინა ათასზე მეტი მეფეთა ძენი და სახელგანთქმულნი ფალეუანნი იმ ქალის სურვილით მოსუდიუენენ და ტუბილს სულს მისთვის გასწირავდნენ, მაგრამ სარვიხურამანი არც ერთს მიხედავდა, მისი მარად საცანბუციელი ურამანი იყო, მისი გონება მისს სურვილს შეეზურა და სხვა არავინ აცანბუცებდა. რა რაჭინდმა თავის ქალისაგან იმდამდეგი ამბავი შეიტყო. დიდი მადლობა უბოძა და ბარამ-ჯიბილის მოყვანა ბოძა, იგი ვეშაშის მხვრავსი ფალეუანი ხელ-შეკრული ხელმწიფის წინ შემოიყვანეს. რაჭინდმა უთხრა: ბარამ! აწ თეცი მომე რომ დეიადგან ჩემი ერთგული მონა და უშანგის მტერი იქნები, დიდს ქვეყანას მოგცემ და მრავალს წყალობასაც გიზამ. ბარამმა ზასუხი არ მიუგო და თავ მოხრილი იდგა.

აქეთ მხარეს ჩინეთის მეფის ასული, რომელიც ბარამის ცოლი იყო, მან წიგნი მისწერა ესე: „ტეი, შარელო! და შეილთა იუღიშთა მხერბულო, მოწყალებასა თქვენს ვეგედრები, მონა თქვენი ბარამი არ დაივიწყეთ და ჰერობილობას მისსა უშეუღლოთ რამე“. რა ესე წიგნი დასწერა უშანგს მიახრთა. რა ესე წიგნი ხელმწიფემ წაიკითხა, თვალთაგან ცრემლის ნაკადული გადმოედინა და საზარდად ამოიხრნა, სარდალთა უთხრა: ხედავთ რა სახელგანნი ფალეუანი დავკარგე, უსჯულთა ხელმძღვრეთ არის და მე კი იგი აღარ მაგანდებს. რა ესე სთქვა, გარდასქეშანს შეხედა და ესე უბოძა: აიართა სარდალო! ბარამის ჰერობილობი დამ განთავისუფლები ღონე სძებნეო. მან მოახსენა: ტეი, მადლო ხელმწიფეო! მრავალ გზით ვძებნე საშუალება, მაგრამ ვერა მოვიფიქრე, აწ წავაღ, ნუ თუ თქვენის დოვლათით მისი ამბავი ვსცნა რამეო.

ესე მოახსენა და წავიდა, ინდოთ ხელმწიფის კარავს მივიდა, შეხედა ნახა რომ ბარამი ხელ-შეკრული იქა დგას, დიდებულნი ცეცხლის თაყვანის-ცემას და რაჭინდის მონობას ეუბნებიან, მაგრამ ბარამი არც თუ ზასუხს აძღვეს. მის უზასუხობაზე ხელმწიფე გაწყრა და ბარამის თავის მოკვთა ბოძა, მაშინ სარვიხურამანი ზე აღსდგა და მოახსენა: ტეი, მადლო ხელმწიფეო! ამ კაცსა ნუ მოკლავთ, ამისთვის რომ ჩვენი ფალეუანნიც იშთა ჰყავთ ჰერობილთა, ნუ თუ იგინი ამით გამოვიმხნათ! ხელმწიფემ უბოძა: ტეი თვალთა ჩემთა ნათელო, თუ ეს არ მოგაკალით ამისი შეხსნა ძნელია, ამისთვის რომ, უშანგს ერთი გრძნეული ჰყავს, თუმცა



ქვესკნელს დავმალე, მაშინაც ჰხოვებს და წაიყვანს სარვისხურამანმა მასსენა, მე შობოძეთ იგი და ისეთის კრძალვით შევინახე რომ თუნდა ქვეყნის აიარნი, დევნი და ფერიანი შეიკრიბნენ მაშინაც ვერ წამართვანო. გარდასქმანი კარებიდამ უფურებდა და გულსა შინა სთქვა, უთუოდ შენ რაცა სთქვა აღსრულდება შეგიძლიანო. მაშინ ხელმწიფემ ბარამს სიკვდილი ახატია და თვისს ასულს ჩაბარა. სარვისხურამანმა ბარამის წაყვანა ბრძანა და მონათა ხელშეკრული ბარამი სარვისხურამანის კარავს მიეყვანეს. ქალიც მამას გამოეთხოვა და თვისს კარავს მივიდა, მარტო ძიძის მოუწოდა და ერთს მხევალს ბარამის მოყვანა უბძანა. მათ ბარამი ხელშეკრული მოიყვანეს, სარვისხურამანმა ბძანა: ბარამის ზურბობილობილადმ გასწინა და აქრის სამოსლით შემოსა, მოიღეს სამოსელი და შემოსეს. აქრის ხელზე დასვეს. ქალმა სუფრის მოღება ბრძანა და ხადიმი დაიდგეს. როდესაც სარვისხურამანმა დგინო სვა მიჯნურობის ტვირთი უფრო გაუმრავლდა და ბარამს უთხრა: „ერთს სიტყვას გკითხავ და თუ მართლს მეტყვი და იმ სიტყვას თუ ავრთავ შენს გულში შეიანსავ, ზურბობილობილადმაც განთავისუფლებული იქნები, მხოლოდ ტყვილის თქმა შენს თავს შეანანიებს“. ბარამი ზე აღზღვა, საფერი ქება შეასხა ქალს და მოახსენა: „სწეი, კეკლურთა დედოფლო! რასაც მკითხავ თუ რამე ვიცი უფლას მართლს მოგახსენებო“. ქალმა ჰკითხა უშანგის დაშქარში ერთი ახალ-მოწიფებული ფალევანი რომ იყოფება, ექვს ფერვანს მხეცზე მჯდომი, იგი ფალევანი ვინ არის ანუ იგი მხეცი სად იშოვა? ბარამმა მოახსენა: „სწეი, მშვეკებით ყოვლითა სრულყო და ძლიერებით ყოველთა უმჯობესო, თქვენ რომ ფალევანს მკითხავთ, იგი ხელმწიფის შვილია, მის მამას თახ-მურად სწოდებია, რომელიც შვილთა იულიმთა მხეცობელი ყოფილა. ეს ფალევანი დევებს სამის წლისა მოეტაცათ და ქუთათის მინდორს მიეყვანათ, იქ აღზრდილა. ცამეტს წელიწადს, მათ შორის ყოფილიყო. რა თქვესმეტის წლისა შექმნილიყო ჩვენს ქვეყნის ერთ მხარეს მოეყვანათ შიხარე დევებს და მთაზედ გაეშვათ. ჩვენ აქ მომავლობაში წინ შემოგვხვდა, ჩვენგანი მრავალი ფალევანი დახრცა, მას შემდეგ ისეუ თავის ნებით და ყათან ფალევანის ბიძის შვილობით უშანგ-ხელმწიფეს იახლა და სააზვირანობის სკამზედ დასვა. როდესაც ინდოეთის ზღვის პირს მოვედით, იგი მხეცი ზღვილადმ გამოვიდა ათ შვილმეტო ასი ათასი კაცი ერთმანერთსა ჰვარა, მრავალი წარჩინებული ფალევანი დახრცა, შემდეგ ყარამანმა შეიპურა, გახედნა და თვისად საჯდომით განაწესა. იმ ფალევანს ყარამან-ყათილს უხმობენ სახელად, ძლიერი ჭაბუკი ფალევანია, იმისაგან ყათის მთის დევნიც კი შეძრწუნებულნი არიან“.



როდესაც სარვიხურამანმა უარმანის ამისთანა ქება შეიტყო, სი-
უგარულის ეშხი ერთი ათასად გაუმრავლდა, მას ჰკითხა: თქვენ ვინა ხართ
და ანუ სახელად რა გეწოდებათ? მან მოახსენა: მე სახელად ბარამ-ჯი-
ბილი მქვია, სულთან-ჯიბილ-გაბარის შვილის შვილი ვარ და ამ ხანათ
უშანგ-მაჭის მონა გახლავარ. ქალმა ჰკითხა, ჩინეთის ქვეყანას ქვად ქმნი-
ლად რამ იყო იგი შენა ხარო? ბარამმა მოახსენა, დიან მე გახლავარ.
ქალმა კვლად ჰკითხა: „სწეი, ფაღვანო! კვლად კაცის სახედ როგორღა
იქცეი?“ მან თავის ამბავი თვითთუფლად მოახსენა როგორც განთავისუფ-
ლებულიყო და გარდანქმენს რაც შემწეობა ექნა მისთვის ანუ აზრად
შეთიღისმე როგორ მოეკლა. ქალმა უთხრა, თუ გარდანქმენს შენზედ
ეგოდენი ჭირნახული გაუწევია, აწ რისთვის არ მოგიგონა. ბარამმა მო-
ახსენა, არ იქნება რამ არ მოვარგებდე, მაგრამ მე ესე ვგონებ რამ იგი
ახლა აქ ახლავს სადმე უნდა იყოსო. მასინ გარდანქმენი კარავს გარეთ
იღვა და ესე საუბარი ყოველივე ესმოდა. სარვიხურამანმა ძიძას უბძანა,
წადი გარეთ,—და კარავს გარეთ თუ ვინმე იყოს აქ შემოიფანო.

მართლაც გარდანქმენი კარავს გარეთ მდგარიყო, რა ესე ბძანება
ესმა ქალისა, დვინით მოვრავს დაემზგავს და ერთს ალაგს მიეგდო და
თავი მოამძინარა. რა ძიძა გარეთ გავიდა გარშემო მოვლო და ხანა რამ
ერთ ვიდასაც კაცს სძინავს. ძიძამ ფეხი დასტა, გარდანქმენმა წამოიხე-
და და ინდოურის ენით უთხრა: „დიაცო გამშორდი დვინო სმული ვარო“.
ძიძამ გარდანქმენი ზე აყენა და სარვიხურამანთან შეიფანა. აიარმა შირ-
მიწა გაერთებით სალაში ჰკადრა და ქება დიდი შეასხა, ქალმა შეხედა, გარ-
დანქმენი იცნა და უბრძანა: „სწეი, სახელავანო! სადაური ხარო? აიარ-
მა მოახსენა: მნათობო, ერთი ინდოელი დარბი კაცი გახლავარ სკრავ-
თა მცოდნე და მით ვცნობრბო. ქალმა უბძანა: „სწეი, ხელავანთა ოსტა-
ტო! მაშ სკრავით მცირე ხანს შეგვაქციეო“. სკრავი მოიღეს, გარდან-
ქმენმა სკრავს ხელი მიჭყო და ზედ დამღერდა უცხო და უცხო სიმ-
ღერებს. შემდეგ სარვიხურამანმა უთხრა: „სწეი, ვატოასნო ოსტატო!
ერთს ვისმეს გამგზავსებო, რა გარდანქმენმა ესე ისმინა, (გულის თვისს
სოჭვას, ნუთუ ეს იგი იყოს რომელმაც ერთის სიღის შემოკვრით ქვე დამ-
ცაო? აწ მაშ სიფრთხილე მმართვესო, ამისთვის რამ ცრულს ბადეს გა-
ვუბი, ახლა მართლის თქმით უნდა მოგიქცე). ესრედ მოახსენა: თქვენ უფ-
ველივე უკეთ მოკესსენებათ. ქალმა ჰკითხა, შენ გარდანქმენი არა ხარ?
მან მოახსენა, ათასიმღ მაქებარი გფერობს ესრედ ცნობისათვის. ქალმა
უთხრა, შაბაშ შენსა სიპართლესა რამ მართავს მითხრობო, რა ამ გვა-
რათ მოიუბნეს, სარვიხურამანმა ბრძანა: გარდანქმენო! გამოთავისუფლე-



შია თქვენთვის, აწ შენცა და ბარამიც წადით თქვენსვე ლაშქარში მიდით, შამიქემის ზასუსის მკებელი მე ვიქნები. თქვენთა ლაშქართა და ფალეკანთა აცნობეთ რომ ხვალ მზათ იუენენ ბრძოლის ველს გამოსსვლელად.

ესე სიტყვა, ძვირფასი სამოსელი მოადებინა, კარდანქეშანიც შემოსა და ორივე თავიანთ ლაშქარში გაისტუმრა, მაშინვე სიჩქარით წამოვიდნენ და უშანგის კარავს მოვიდნენ. აიარნი კარებ წინ ისხდნენ და მათს ამბავს უბნობდნენ: რა შემოსედეს ბარამ-ჯიბილი და კარდანქეშანი იხილეს, მაშინვე წინ მოეგებნენ, ერთნაირი რამელიც მანდატურთ უხურესი იყო, რადესაც იგინი დაინახა სწრაფად შევიდა და უშანგ-შაჰის მათი მოსვლა ახარა.

ხელმწიფე დიდს სიხარულს მიეცა, იმ დღეს ხელმწიფეს ერთი სომოსელი ემოსა, რომელიც ერთი ქვეყნის წლის ხარჯის ფასად ღირდა, ის ერთნაირს სამახარობლოდ უბოძა. ზე აღზღვა, ბარამ-ჯიბილს წინ მოეგება და შუბლს აკრცა ხელი დაუჭირა და კარავს შეიყვანა. ბარამი თავის ალაგს დასვა, თვითონაც ტახტს დაბძინდა. ბარამს რაჰინდისა და სარვიზურამანის ამბავი ჰქოთნა, ბარამმაც ყოველივე უკლებლად მოასსენა: ხელმწიფემ იგრძნო რომ იგი ქალი ყარამანის ტრფიალი შექმნილიყო. რა ღამემ განვლო და სიბნელის ზეწარი დაიხია და ქვეყნის მანათობელმა მზემ თავი ამოყო, ორსვე მხარეს ლაშქარნი დარაზმდნენ და სომარ ბუკს შეჰბურეს, ქოსთა და ნალარათა ხმა გაჰიროდა, მსწრაფად ცხენებს ამხედრდნენ და ომის მომწადენი მტერს ეჭადოდნენ, ჯაბანთა კი ზირთა შიშისკან ზაფრანის ფერი დაზღებოდათ. მაშინ რაჰინდის ლაშქრიდამ ერთი გულფანი ფალეკანი გამოვიდა, უვითელ მარტორქას მჯდომი და მიძიდელ შეტურვილი, თორმეტი ათასი ფალეკანი უკან მოზღვედნენ, ისეთის მშვენებით მოვიდოდა რომ, მტერთაც დიდით მოეწონებოდათ. ამისმა შიხვევამ უშანგ-შაჰამ თვისთა სარდალთა ჰქოთნა: ეს სსხელფანი ფალეკანი ვინ უნდა იყოსო? მაშინ ზორამ-ჰინდი წინ წამოდგა და მოასსენა: ზეი შარელო, იგი ფალეკანი ინდოთ მეთვის ასული სარვიზურამანი არის. ფალეკანთ უბანეთ მისკან გაფთხილდნენ რომ ფათერაკს აჩას წაკვიდნენ. ესე სიტყვა ფალეკანთა ესმათ, და ყოველნი მზად იუენენ.

აქ სარვიზურამანისა ერანელთა და თურანელთა ფალეკანთა სარდალთა ომი ძლიერდი, და სარვიზურამანისკან უშანგ-შაჰის მრზაბლთა ფალეკანთა შეპერობა.

უშანგ-შაჰის ლაშქარში სსხელფანი ფალეკანი ვინმე იყო, რომელსაც სსხელად ბარამ-ისსაკან-ზად ეწოდა, იგი მოედანს კავიდა და ქალის



მის ღამობდა, ხელთა ისეთი ორთლი ეჭირა რომ დიდს ჭანდას ემ-
გზავსებოდა, იგი თავს შემოიფლო და სარვისურამანს მიუხტა, თავის გან-
გებით მას ზედ აგებს უბარებდა, ამისმა მხილველმა უშანგ-ხელმწიფემ
ბძანა, მეტრადება სარვისურამანი რომ ბარამ-ისსაგან-ზადის ხელით გა-
თადესო, ვარამანმა მოახსენა: „სტი, ხელმწიფე სრულიად ქვეყნისათ
იმ ქალს ბარამის ომი ანად მიანნია და არც მისსა ომს იკადრებსო.
ბარამისთანა ფაღვეანი რამდენი გაუსწორებია მიწასთან, მე ესე მძიმ-
სენებია და აწ თქვენის ბუნებრივს თვალით უუერეთო. ამ ჟამად იგი ქა-
ლი მოედნის საშუალ ალაგს მოვიდა, იმ ფაღვეანთა რომელიც უკან მო-
ზღვედნენ მადლობა უთხრა, ივინიც გაბრუნდნენ და თავიანთ ალაგს დადგნენ.
ქალმა მოიხედა, ნახა რომ უშანგის მხრიდამ ერთი ფაღვეანი მო-
ხტომია და შუბზე აგებს უბარებს, ქალმა შუბს ხელი აუკრა და თავს
გადაიფლო, ტარსა ხელი სტარა და ზევით აზიდა, ბარამმა შუბი ხელიდამ
არ გაუშო, ქალმა მეტის აზიდვით ბარამი მარტორქიდამ მოხდა, აიუვა-
ნა და ქვეყნას დასცა, ბარამი მეტის სიფიცხით ფეხზე დადგა, რა ქალ-
მა იგი ისე იხილა, აუყანდიდან ფეხი გამოიღო და ბარამ გულს ისე აძ-
გერა რომ შვიდჯერ ვიარაზე გადატრიალდა და ქვეყნას დაეცა, მის და-
ცემის ხმა მთის დაცემის ხმას ჰგვანდა. მასინ ინდოთ აიარნი მოსცვიფ-
დნენ, ბარამ-ისსაგან-ზადს ხელეტი შეუკრეს და ზურაბილად წაიფუნეს. რა
სარვისურამანისა ესეთი სიმხნე ნახეს ორთავე კერძოთ ლაშქართა დიდი
ქება შეასხეს და შაბშ შაბაშის ხმა გამრავლეს. ქალი მოედანს იღვა და
სამხრად ფაღვეანს ითხოვდა. მასინ ერანელთაგან მოთა-ჯანზა-ჯირ წო-
დებულე ფაღვეანი მოედანს გამოვიდა, ერთმანერთს ნავარდი შემოფლეს,
ქალმა ლახტი თავს შემოიფლო და ერანელ ფაღვეანს მედგრად დაჰკრა და
იგი საწყალიც ცხენიდამ ჩამოაგდო. აიარებმა იგიც შეკრეს და წაიფუნეს.
ამის მხილველი უშანგ-ხელმწიფე დიდს მწუხარებას მიეტა და ბძანა, ფა-
ღვეანნო ვერა ხედავთ ეს თმა ასაკვეცი ვითარ საქმეს ჩადის!... რა ესე
ბძანა, სუხარავ თურქთა ფაღვეანი გავიდა, ქალმა ისიც ჩამოაგდო, აი-
არებმა იგიც შეჰკრეს და წაიფუნეს. მასინ ხორასნული ფაღვეანი ავთა-
ჯანგი მოედანს გავიდა, იგიც მსწრაფელ ჩამოაგდო. შემდეგ ბალასული
ფაღვეანი გავიდა, სახელად დაუზარაბ, რა ქალს მიუხლავდა ერთმანერთს
ნავარდი შემოფლეს და შექმნეს ძლიერი ომი, ერთმანერთს ოცდა ოთხი
ლახტი სტეს და ვერა რომელმა აჯობა, შემდეგ სარვისურამანმა თავისი
მძიმე ლახტი თავს შემოიფლო და გაფიცხებულე საკვდავად მოუქნია, რა
დაუზარაბმა ესე იხილა ფარი თავს დაიფარა და სიცოცხლისაგან უიმი-
დო შექმნა, ლახტი ფარს მოხვდა, ფარმა ვეღარ გაუძლო, ფარი გასქ-



და და კისერს ჩამოეცვას, ფაღვეანი მაშინვე ძირს ჩამოვარდა, ინდოთ გრძნეულნი თავიანთ ხელფანებით მოვიდნენ და იგიც წაიტაცეს. რა ესე არაფლობ-სუნზარ ფაღვეანმა ნახა, იგიც გავიდა მოედანს, მტირეს ხანს იბრძოლეს და იგიც ცხენილამ ჩამოაგდო. მერე სამსიმ ფაღვეანი გავიდა და იგიც სწრაფობელი ადვილად შეიპურა. ამის მხილველნი ერან-თურახელნი ფაღვეანნი ძლიერ თავილობდნენ, მაშინ მოედანს გავიდნენ რამდონიმე ფაღვეანნი, უზამ-ფარა-სათი, მარდანა, ქეჭლან, ქუთაღანგი, ქალჭლან, ქუჭინიშინ, ბახად-ჯამან და სხვანი. ესენი ძლიერ სახელფანნი ფაღვეანნი იყვნენ, ისე რომ რკინას კბილით დაღებდნენ და ბორცუს მჯიღვით დაქტევდნენ, ამათაც მტირეს ხანს იბრძოლეს და ბოლოს ამათი საქმედ წახდა, ქალმა ყველანი შეიპურა და თავიანთ აიარებს მისცა წასა-უგანად. იმ დღეს ინდოთ ლაშქარში ამისთანა ხმიანობა გაისმოდა: ჭკარ, მოჭკალ, შეჭკარ, შეიპურა, ერანულ ფაღვეანებს ცოცხალს ნუ გადაარჩენთო, სარგისურამანმა იმ დღეს სმოცდა თათხმეტი სახელფანნი ფაღვეანი შეიპურა. ამის მხილველი დიდი ხელმწიფე უშანგი არა მტირე მწუნარებას მიუცა. რა მტირე ხანი გამოხდა მარჯვენა მხრილამ რაღაც ხმიანობა მოესმათ, მსმენელთა ასე ეგონათ ცა ქვეყანას დაეცაო.

აქ ძლიერის ფაღვეანის უათრანისა და სარგისურამანის ომი და სარგისურამანისაგან უათრანის შეპერობა.

ფაღვეანთა სისხლის მღვრელი და ამაყთა მომამშვიდებელი ღმრთი ძლიერი უათრან მოედანს გამოვიდა. მისთა მხილველთა სარგისურამანის იმედი გარდაიწვევიტეს და ერთობით ამას იტყოდნენ, ბრადია მნათობი ამიტომ რომ ამისთანა ვეშანის ხელში უნდა ჩავარდესო. უშანგმა ზორობ-ჭინდს უთხრა, ჭეი, სარდარო! სარგისურამანის და უათრანის ომს ვითარ ჭხედავ? მან მოახსენა: ჭეი, შვილთა იუღიმთა მპერობელო! მე ესე ვგონებ რომ იმ ქალს უათრანიც ვერას დაკლებსო. უშანგმა ესე მოხსენება არ იარწმუნა და ესრედ ბრძანა: ეხლა ვი შებრალეა იგი ქალი რომ უათრანს ვერ იცნობს თუ ვითარცა ფაღვეანია, იმის საქმე დღეს უთუოდ ამ ჭაბუკის ხელით გადაწყდებაო. ამ ჟამად უათრანი სარგისურამანის სიანლოვეს მივიდა და მდამლად სლამი ჭკადრა, ქალმა ჭკითხა: ფაღვეანო, რა სახელფანობა გიქმნია უშანგის ამოდენა შეურეღ ფაღვეანთა წინ, ანუ რა უნდა ჭკმნათო? ბრადია იგი დრაჭკანი (ჯიღლო) რომელიც ხელმწიფეს თქვენზე მოუღიაო. უათრანმა მიუცა, შენ რომელიც სირცხვილის ფარ-



დაგი ზირიდან ავიკვცია და ამოდენი უწესო საქმე გიკადრის და ესე მოედანი ვაჟკაცთათვის არის დაწესებული სამხრად, და დიაცთა ომი ჭაბუკთათვის საკიცხავად დადებულიაო. მე შენთან ბრძოლად არ გამოვიდოდი ამისთვის რომ დიაცთან ომი შეტყობდა, მაგრამ შენი ამუხობით მრავალი უწესო საქმე ჰქმენ! უმეტარო, შენ არა გსმენია ყარაშანის სახელი და ყათრანისა?!... აწ მოველ სულთა შენთა ამომხდელი, სადა წახვალ ჩემთა ხელთაგან, უთუოდ აწ თავსა ტანისაგან გავიმორცხე და ქვეყანაზე საკიცხავად დაგაგდებო.

რას სარგისურამანმა ესეთი სიტყვები ისმინა, გულში დიდად გაწერდა და ესე უზასუხა: ფაღვეანი, ვითარ იგრძნე რომ მე ქალი ვიყავი, ანუ კვრე რათ გამოვიტყუე? თუმცა ღომის ლეკვი ხვდა არ იფოს, ნუ თუ იგივე ღომი არ იქნება? აწ მზათ იყავ და გაუთხოვდი, გაცნობებ ჩემს დიაცობასა, რა ესე სიტყვა, მარტორქას ქუსლი შემოჭკრა, ზედ მიაგდო და ერთმანერთს ნავრდი შემოუფლეს, უშანგ-ხელმწიფე, ფაღვეანთა უხუცესი ყარაშანი და სხვანი სახელოვანნი ფაღვეანნი მათს ბრძოლას უჭვრეტდნენ. ქალმა შუბი გულს საძკვრად მიუმატა, ყათრანმა სწრაფად ფარი მიაშველა, შუბმა ფარი გახეთქა და გულის სახელოვანს მიაღწია, ყათრანი მარტორქის გავას გადაწვა და შუბისგან დამსხვრეული ფარი ხელიდან გაუშვა. გარდანქმანი მსწრაფად მოიჭრა და სხვა ფარი მიართვა. ქალმანას რომ შუბისგან არა ეგრძობა, მაშინ მთის ოდენი ლახტი წელთაგან მოიღო და ყათრანს დასაკრავად შედგრად მოუქნია, ამისმა მხილველმა ყათრანმა თვისი ლახტი თავს იფარა, ლახტი ლახტს მოხვდა და მთაგან საშინელი ცეცხლი გამოხდა, ქალმა მრავლის ლახტის ცემით ყათრანი ზევით არ აახედა, ათასის ცდით უგნებლად გადურჩა. რა რიგი ყათრანს ერგო, ყათრანმაც სცა რომოდენიმე ლახტი, მაგრამ ვერტარა მან ავნო და ვითა არა სცემოდა, არად შეიმჩნია. შეორედ რიგი ქალს ერგო ისეთი ლახტი დაჭკრა რომ თუმცა იაბოუზის მთას სცემოდა, იგიც კი დაიქცემოდა. მაგრამ ფაღვეანი იმ ნაკრავსაც უგნებლად გადურჩა, შემდეგ ყათრანი აჯანდასზე შედგა და ერთი ისეთი ძლიერი ლახტი დაჭკრა რომ მის ნაკრავის ხმა ოთხს ფარანგს გაიგონებდა, მაგრამ ქალს არცა თუ მაშინ ავნო. ყათრანმა იფიქრა, ჩემ ნაკრავს დეგნი და ფერინი ვერ გადურჩებოდნენ და მე ამ ქალმა ვითარ გამოძლო, მე ამ ქალის საკვდავთ გამოვსულვარ და აწ უნდა გადავწყვიტოვო. რა ესე იფიქრა, ხმალი ქარქაშიდამ ამოახდინა და ქალს სასიკვდილთ მიმართა. სარგისურამანს ადრევე სმენოდა რომ ყათრანი ყარაშანის ბიძის ძე იყო. ესე შესძახა! ფაღვეანო რა არის შენი წადილი რომ ხმალი მიშველი მოხვალ?



აწ მე გაცნობებ ხმლის მოწვევენს და მტრის სიკვდილი ვით უნდა, მაგრამ რა უფა რომ ყარამანის წყენს ვერიდები, საკლავად ვერ გავიმეტებ.

რა ესე უთხრა, ქალმაც ინდოური პირბასრი ხმალი ქარქაშიდამ აღმაცხდინა და ეათრანს შეუტია. პირველს მისულაზედვე ეათრანმა ხმალი მოუქნია და თავის განგებით სიკვდილს უხირებდა, ქალმა მეტი სიფიცხით და კარგის მხედრობით მოქნეული ხმალი აიცილნა და მხარ ქვეშ გაუარა, მაშინ ქალმა სდავე მოიბრუნა და შემოსძანა! ფაღვეანო სიფრთხილვე გმართებს, რა ყარამანმა შესედა, ნახა რომ სიკვდილსა და ხმალს თავისზე მოეწია, ესრედ შესძანა! ზეი შენ, თმა ასაკვეცო! რა საქმეს ლამობ, ესე სთქვა და ფარი იფარა, თავი უფაღს შეავდრა. ამ საქმის მხილველნი ეათრანისგან უიმედონი შეიქმნენ, მაგრამ ქალმა ყარამანის ხათრით ვერ გაბედა რომ ეათრანისთვის პირი დაეკრა, ხმალი გადმაცხდრუნა და უფა დაჭკრა. ეათრანმა დაკრულს აღაგს დაიხედა, დაკოდილობა ეკონა, რა სისხლის დენა ვერა ნახა, დიდად გაივირვავა, ქალმა კვალად შეუტია ეათრანს.

რა ყარამანმა ეათრანის სსიკვდილათ ზედ მიწვენა იხილა, ქალს სსინელის ხმით შესძანა: ზეი, შენ სისხლთა მღვრელო! მაგ ფაღვეანს არა ზუნორო, რა ეათრანს ყარამანის ხმა ესმა, მაშინ სირცხვილის აღმა ნამუსს ჩააგდო, ქალის ჯაჭვის კალთას ხელი მიჭყო იგი ორნი ძლიერნი მებრძოლნი ირკინებოდნენ, ორნივე მარტორქიდამ გადმოხტნენ და ერთმანეთს ქვეითად ეტიდებოდნენ, ჯაჭვსა და ჯავშანს ერთმანერთს ზეწარსავით ახვედნენ, სლამომდე ამისთანა ბრძოლაში იმყოფებოდნენ. რა მწუხრის უამი მოახლოვდა, სარვიხურამანი განრისხდა, ეათრანი შედგრად აზიდა ვითა მცირე ერმა და ხელში დაიჭირა მადლა, იგი მოედანი გაატარა და რაჭინდის დროშასთან დასცა ქვეყანას, მაშინ ორსავ ლაშქართაგან დიდი განვეირვების ხმიანობა შეიქმნა.

რა ესეთი საქმე იხილეს უშანგის ლაშქარმა, სამსამა ათსამა მხედარმა ქალს შეუტოეს. ქალი მარტორქას შეჯდა, ხმალს ხელი მიჭყო და მათ სიმრავლეში გაერია. იქით მხრიდამ ინდოთაგანიც სამასი ათასი ლაშქარი გამოვიდა, ერანელთა ლაშქართა შეუტოეს, მათთა ცხენთა ნატურთა ფრთხილად მესწავდებოდა, ერთმანერთში აირივნენ და ორთავე კერძოთ ლაშქართა ხმიანობა ასტყდა: „ჭკარ, მიჭკალ, შეჭკარ, შეიზყარ, ესე არს დღე ამაცთა გამჩენისა“. შეიქმნა ომი საკვირველი და ფიცხელი, სჯარსნი ესე სწერენ: მეორედ მოსულას ემგზავებოდა. მათთა ფერხთა ნატურთაგან ისეთი მტვერი შეიქმნა, რომ ჭყერი დახნელა და ლაშქარი ერთმანათს ვეღარ არჩევდნენ, იმ დღეს ინდონი მხედრ ბრძოდნენ.



უშინგის ლაშქარნი იძლივნენ და გაიქცნენ. ამ ჟამად ყარაიმანი ერთ ადგილს იდგა და ლაშქართა ბრძოლას უჭყრეტდა. რა უშინგის ლაშქარი ძლეული ნახა ვეღარ შოთთმინა, მაშინვე ხელმწიფესთან მივიდა და ზირი მიწას დაზღვა, დაჯიჯა, ქება შესსხა და მსეცსა ამხედრდა, და მაშინვე საომრად მიმართა, მარჯვენა ხელი მარცხენა გვერდს შემოიხრია, მარცხენა მარჯვენასა და ერთი ისეთი საშინელი ხმით შესძის რამ მისთა მსმენელთა ეგონათ, ცა ქვეყნას დაეცაო. მის ხმის შიშით მრავალნი ცხენთაგან ჩამოცვივდნენ და უსულთ იქმნენ, მარტორქანი დაფოთნენ, სწოლათა დაწვევიტეს ჯაჭვნი და მინდორს გადახვეწნენ. ყარაიმანმა ბასრი ხმალი ბედნიერ ქარქაშიდამ აღმოახდინა და ინდოთ ლაშქარში გაერთა, მისი მხილველნი უშინგის ძლეული ლაშქარნი დათამაშდნენ და ივინიცა ინდოთ მიეტყვნენ. შეიქმნა ომი ფიცხელი, მოლაშქრეთა თავები მიწასე ხეთა ფურცელივით სცვივდნენ — და მრავლის ფაღველის თავ-ტანი ცხენთა ფეხებზე იქეღვებოდა უმატიოთ, ჩვიდმეტი უშინგის ტახტის ფაღვეანნი დაიხცნენ და სხვათა დახცვილთა მოლაშქრეთა რიცხვი არ შეიგდებოდა. ინდონიც მრავალნი დაიხცნენ. ყარაიმანი განრისხებული მედგრად იბრძოდა, მრავალი სწალოზე მუდამი ფაღვეანი შემუსრა და ინდოთ ხელმწიფის დროშას მიაღწია. რამეღ მხარესაც შეუტევედა ლაშქარი დასტა-დასტა კარბდნენ. დათამაშებულნი გრანენი მათში დაეყოფდნენ და უწყალოდ ხოცდნენ. რა ესენი ამ ბრძოლას იყვნენ, სწანდიერ-ბარც თავისის ლაშქრით, რაჭინდის მოსახმარებლად მოვიდა.

აქ სწანდიერბარცის მოსვლას ინდოთ ხელმწიფის შემწედ და მისგან ფიცხელის ომის გადახდა.

სამხრეთის კერძოდამ ერთი მტკერი აღზღვა რამ ჭავრი დაბნელა, ჩრდილოეთის ნიაგმა მცირე ხანს უკან შემოჰკრა და მტკერი გადაიურა, ორსნი დროშა გამოჩნდა, — ეს იყო ორსნი ათასის კაცის ნიშანი: ჩქარის სიარულით მოვიდოდნენ, ლაშქართა სიახლოვეს მოადწიეს და მოედნის ზირს დადგნენ. ცხენნი და კაცნი სრულიად რკინით შეჭვიდნენ იყვნენ, სწანდიერმა იკითხა ინდოთ ლაშქარი რამეღლიაო. ერთმა ინდოთ მოლაშქრეთაგანმა აუწყა რამეღიც იყო. მაშინ სწანდიერმა თვისი რაში მოითხოვა, მოსართავები გაუმაგრა, ზედ ამხედრდა და მონათა უბრძანა, ინდოთ შეეყენ ჩემი მოსვლას ახარეთ, აწ მტკერთაგან ნუღარ იიშიშვისო. მონამ ესე საამო ამბავი მსწრაფად რაჭინდს მოახსენა. მაშინ ინდოთ ხელ-

მწიფემ ხელნი შეიტყუებნა და კასკასით სიცილი დაიწყო. მასინვე სწან-
დიერბარმა თავისი თასის კაცით უმანგის ლაშქარს შეუტია, მა-
შინ უმანგის ლაშქარს არა მცირედი შიში მიეცათ. ერან-თურანელნი ლაშ-
ქარნი გაიქცნენ და ინდოთ ლაშქარნი მისდევდნენ. სწანდიერბარმა ხმაღ
მეწვიდილი ლაშქარში გაერია, რომელ მოლაშქრესაც ხმაღსა სტემდა თავს,
ცხენსა და კაცსა შუა გაჭკვეოდა, რომელსამეს აიევანდა მეორეს შეს-
ტყორცნიდა და ორივე უსულო შეიქმნებოდნენ, იმ დღეს მრავალი ერან-
ელი ფაღვანნი გაწვიოტა.

ამ უმად ყარამანი და სარვიზურამანი ერთმანერთს ებრძოდნენ, ვი-
დრე მწუხრის უამადე. რა ქალმა მისი ესეთი სიმხნე გამოსცადა, ესე
მოახსენა: «შბაშ, შბაშ! შენთა მკლავთა ძლიერებას რომ შენებრ ჭაბუკი უო-
ველს ქვეყნის შირს არც შობილას და არც იშობება». ჭეი, ფაღვანთა
ფაღვანო! დღეს მე და შენ ბრძოლით ვერ გადავსწვევით, თქვენ ზერო-
ბილთათვისაც ნუ სწუხართ, ბოლო კეთილია. რა ესე სთქვა ერთმანეთ გა-
ყვარნენ, ყარამანმაც მადლობა მოახსენა და გამობრუნდა.

ამ უმად გასაყარს ნადარას ჭკრეს, ორისვე მხრის ლაშქარნი ბრძო-
ლის ველიდამ დაბრუნდნენ თავთავისად. უმანგ-ხელმწიფე თვისსა დიდ-
ბუღს ტახტს დაბრძანდა, ფაღვანნიც მოვიდნენ და წესისამებრ თავ-თა-
ვის ალაგს დასდნენ, ერთმანერთს ომის ამბავს უამბობდნენ. რა მცირე
ხანი გამოხდა ფაღვანთა უხუცესი ყარამანი ხელმწიფესთან მოვიდა, წე-
სისამებრ დალოცა, ქება შესხა და თვისსა განწყისებუღს ალაგს დაჯდა,
ხელმწიფემ ფაღვანთა თვალი გადაავლო, ნახა რომ ოთხმოცდაათი ფა-
ღვანთა სკამები ცარიელი იხილა, დიდ მწუხარებას მიეცა და ესე სთქვა:
სწანდიერო! ხედავთ დღეს იმ ქალმა რა გვიყო და იგი დევთა ნაშობი
სწანდიერი რა კარგ დროს მოეშველა და ვითარი ომი გადაიხდა! მასინ
გარდანიქმანმა მოახსენა: ჭეი, შარელო! უკეთუ დღეს ჭაბუკობა ყარა-
მანისა არ შეგვწოდა იგი ქალი ავ სსქმეს გვიზამდა, ისე რომ ქვეყა-
ნაში საზღაპრად შევიქმნებოდით. მერე სწანდიერის ამბავი ჩამოგდო
და იმდენი ქება წარმოსთქვა რომ მსმენელთა შირთა ფერი შეეცვალათ.
მაგრამ ყარამანს ძლიერ უძკერდა გული, ისე რომ მუნ მსწდომთა ასე
ეკონათ ღრუბელი გრგვინის და მისი ხმიანობა არისო. უმანგ-შაჰამ ყა-
რამანს შეხედა და მისი იმ გვარ მხნეობისთვის დემართს მადლობი შე-
სწირა, მაგრამ დახორცილთა და ზერობილთათვის დიდ მწუხარებაში იყო.
რა ყარამანმა ხელმწიფე მოწუენილი ნახა, ვეღარ მოითმინა და ესე მო-
ახსენა: ხელმწიფეო, დადალეულობისაგან ისე ვარ რომ ხორცი დასწყიდს
მიგავსო და ფარვანი მიბოძეთ რომ ჩემს კარავში წავიდეთ. ხელმწიფემ

ნებს დართო, ყარამანი ზე აღზდგა, ხელმწიფე დალოცა და თვისსა კარავს წავიდა. მეცნიერთა შეატყეს რომ არა თუ დადალეულობის გამო წავიდა, არამედ სწავლეისა რისამე აღსრულებისთვის. რა ყარამანი თვისს კარავს შევიდა, გარდანქმან გრძნეული თან შეჭყვავა, თაყვანი სცა, დალოცა და ქება შესსხა. ნახა რომ ყარამანს სდამური ტანისმოსი შეუმოსავს, აბჯრითა და ჯაჭვით იჭურვება, ისე ეჩქარება რომ თუ ვსთქვათ მზის ჩარხის ბრუნვას მიემგზავსებოდა.

რა გარდანქმანმა ყარამანისა ესეთი სიჩქარე ნახა, დიდათ მოეწონა, საქებრად ენა აღძრა და ესე მოახსენა: ჭეი, სწოთ-უბოფანო ფაღუვანო! ესე მართულობა და ქტევა ვისგან იწავლეო, ან ეს საომარი აბჯარი რათ ინებე შემოსვად და ანუ შენი სწავლეი რა არისა? ყარამანმა უბასუხა: მე ესე მწავია, ამაღამ წავიდე რაჭინდის საშურობილეს, რომელნიც ჩვენნი ფაღუვანნი ზურობილად არიან, ევკლანი გავანთავისუფლო. გარდანქმანმა მოახსენა: ჭეი, სახელფანო ჭაბუკო! დიდად საჭირო საქმე გიფიქრებია, მართლად იცოდე რომ შენის სისხლის დაღვრისთვის უფაღუვანი ინდონი თავს გასწირვენ, რომელცა ხუთი ასი-ათასნი კაცნი შენი მტერნი არიან. ამის კარდა მისებრ დევთა ნაშობი ქაბუღ-ჭინდი სზანდიერ-ბარის ძმა ხელთა შენთაგან მომკვდარა, ამისთვის სზანდიერი შენზე მოსულა სისხლის ასაღებად. აწ იგი იქ იმყოფება. მაც საქმეზე წასვლა, რომელიც თქვენ გავიზრახავს. თუ ღმერთო, ძნელი საქმე არის. ყარამანმა უთხრა: ჭეი, გარდანქმანო! შენ რომ წასვლას მიშლი, ბიძის ჩემის ძე ყათრანი, სახელფანი ჭაბუკი და სხვანი ფაღუვანნი მტერთა ხელში არიან ზურობილად. და ჩვენი ხელმწიფე უშნგი მათთვის შეჭირვებაში არის. ჩვენგნით დათმობა ვითარ შეიძლება? რა გარდანქმანმა ესე ისმინა მოახსენა: ფაღუვანო, საცდელად მოგახსენე. ვინაიდგან შენ გვრე მოგიწადინებია, მეც თან გაახლება, ან ზურობილნი გამოვიხსნათ და ან თავი ჩვენი ზატრანისა ჩვენი საშინსურზე გადავდგათო.

ორნივე აბჯრით შეჭურვილნი გაემართნენ ინდოთ ლაშქრისაკენ. ყარამანი ეუბნებოდა გარდანქმანს, აბა მალე წავიდეთ რომ ამაღამ ინდოთ ლაშქარი და ფაღუვანნი მხეტთაებრ ვინადირთო.

აქ ყარამანისა და გარდანქმანის ინდოთ ხელმწიფის მეჯლისს მისვლა, ერან-თურანთა ფაღუვანთა გამოხსნა და ყარამანისაგან მრავალთა ფაღუვანთა და ლაშქართა დახლოცა.

რა ინდოეთის ხელმწიფე ამიდან დაბრუნდა, თავის ტახტს დაბ-



ძანდა და ინდოთ დიდებულთაც დასსდომა უბძანა: იგინი წესისამებრ თავთავის ალაგს დასსდნენ, რა მტირე ხანი გამობნდა, სზანდიერ-ბარი შემვიდა, რადესაც ინდოთ დიდებულთა სზანდიერ-ბარი დაინახეს, ვეკლანი ფეხზე ადვდგნენ. სზანდიერმა რაჭინდ-ხელმწიფეს თავიანი სცა, ქება შესასხა, მივიდა და ტახტის ძირს თავის შესაფერს ალაგს დაჯდა. ხელმწიფემ ფალეკანი მოიკითხა, გარჯილობისთვის მადლობა უბძანა და ძვირფასი სამოსელი უბოძა. სუფრას მოიღეს და დიდი მეჯლისი გაიმართა, რა მტირე ხანი გამობნდა სზანდიერმა ხელმწიფეს მოახსენა: „ბეი, მარიელა! ძმა ჩემი ქაბული რა იქნა და ახ ვის ხელით გათავდა? ამ სიტუვასზე რაჭინდმა საზარლად ამოიხრჩა და ესე ბძანა: ჩუენი მესისხლე, უშანგს, ერთი ფალეკანი ახლავს, რამელსაც სახელად ყარამანი ეწოდება, შენი ძმა ქაბული მის ხელით გათავდა. ამ სიტუვების მსმენელმა სზანდიერმა საზარელი სულთქმა აღმოახდინა დვიძლთაგან და ესე სთქვა: „ვინაა იგი ყარამანი, რამელმაც ჩემის ძმის სიკვდილი იკადრა და იგი ჯერეთ ქვეყანასზედ მოარული არის? დღეის თმში რათ არ მაცნობეთ რომ ჩემი ძმის სისხლი მეხლევინებინა, იგი თრათ გამეკვითა და მისი მძოვრინადირთათვის სერი შექმნა?“ რა ესე სთქვა დიდად ამოიხრჩა, შეკრდნ ჯიღვი დაიცა და ესრედ სთქვა: „ვაჭ ჩემო ძმაო, რა მტირე კაციხ ხელით გათავებულხარ“, აწ ყოველთა გვეედრებით, ხვალ იგი მაცნობოთ, რომ მისი სისხლი მწეურთან. ამ სიტუვების მსმენელი, სარვიხურამანი გულსა შინა იტყოდა. ვინ იქნება იგი კაცი რამელსაც მის თმის მოკლეჯა შეკდოს. თუ ვინმემ მისი წეენა გაბედა, ჩემს ხელთაგან მიძიე ფათერაკს გაეხევა და სიცოცხლეს გავწირავ მისთვის.

ამ ყაზად რაჭინდმა დიდი ცეცხლის დაგზნება ბრძანა, მონათა მსწრაფელ ხელმწიფის ბძანება ადასრულეს და დიდი ცეცხლი დასთეს, მევემ და დიდებულთა იმ ცეცხლს თიხსავე მხარეს თავიანი სცეს და თავიანთ თხავნას ევედრებოდნენ. ამ ყაზად იგი ღომთა ღომი ყარამანი და გრძნულთა უხუცესი გარდანქემანი მათ შუა იდგნენ და მათ მოქმედებას უმხერდნენ. მაშინ იმ ცეცხლადამ ერთი ეშმაკური ხმა რამ გამობნდა ესრედ: „ჩოი რაჭინდ, დღეს შენი ხმალი მტერსა შენსა დაიმორჩილებსო. ყარამანის ფალეკნობა დამითრგუნავს, სზანდიერ-ბარი ძლიერი ფალეკანი შენდა შემწედ მომიფლენია აწ ზერობილნი იგი ყათრანი და სხვანი ფალეკანნი წინაშე ჩემსა მოახსნი, ჩემთვის თავიანი აცემინე და უკეთუ თავიანის ცემს არ ინებონ, სიკვდილს მიეცითო.

რადესაც ცეცხლიდამ ხმიანობა რაჭინდს ესმა, ზირი მიწას დასდვა და თავიანი სცა. მის ხმის მსმენელი ყარამანი, გარდანქემანს ეხრახებო-



და ვითა ვინა არს ესე. რომელიც ცუცხლიდამ სმინაობს? გარდასქეშნმა მოასხენა: ზეი, ფაღუვანო, ხმა იგი რომელ ცუცხლიდამ გამოვა, ეშმაკთ სმინაობა არის და ცუცხლის თავუვანის მცემელთა აზმაგი უოკელი წვრილად უამბო. რაჰინდი იმ ცუცხლიდამ ჯაზარაკის სმით უზომოდ გამინარულდა და ჰერობილთა მოყვანა ბრძანა: ბრძანების აღმასრულებელთა მონათა ერანულები ფაღუვანნი მოასხეს მის წინ. ხელმწიფე მათს დასტას ჯამობდა; ამით მხილველ ყარამანს გული ღრუბელივით უგრკვნიდა და ენებს რათა მაშინვე შეეცია, მაგრამ გარდასქეშნმა მოასხენა: ჯერ უამი არ არის, მცირეს ხანს მოითმინეთო. ყარამანი მის სიტყვას დასჯერდა მხოლოდ წინ წადკა და ფარულად ათვალიერებდა. რაჰინდი მობრუნდა თავის ტანტს კითხვია და დაბრძანდა, დუზდი-ავსარ გრძეული შიინობა და უურს ჯაზარაკი დაუწყო, მაშინ დუზდი-ავსარი წინ წამოსდგა და ყათრანს უთხრა: „ფაღუვანო, ვისთვისაც შენი თავი გასწირე დღეს შენ იმათ აღარცაი მოგიგონეს, ხომ ნახე რა დღე დავაყენეთ უშანგის ჯაშქარს რომელიც შენებრივ სახელგანთი ფაღუვანიც კი მოვინადირეთ და ჩვენი „ნარინურს“ რისხვა მათ თავს დაუცეთ“, ყარამანის იმედი რომ გკონდათ იგი საწყალო, სმანდიერის შიშით ხომ გარდასხვეწილა და ზვალვე გარდაუწვევტს სმანდიერ-ბარი უშანგის ჯაშქარს საქმეს. აწ თუ შენის თავის სიტყვასე გსურს ჩემი სიტყვა ისმინე, შენ და ეს შენნი ამხანაგნი რაჰინდის ერთგულ მონათ შეიქმენით. საბაოთ ღმერთი რომელიც თქვენს გწამთ იგი დაივიწყეთ და ჩვენს „ნარინურს“ ცუცხლს თავუვანი ეცით და ამის მონანიც იყავით და დიდ წყალობას მიიღებთ. ამასედა ყათრანი ძლიერ განრისხდა და უთხრა: „ზეი! შე ბილწო გრძეულია, რას ჩმახვ, რისთვის დავივიწყეთ ჭეშმარიტი ღმერთი, ცისა და ქვეყნის შემოქმედი და კვალად მისს გაჩენილს მანდურს ეშმაკს თავუვანი ვსტეთ?“ დუზდი-ავსარმა კვალად უთხრა: რადგან ეგრე შეგვევარებათ თქვენი უხილავი ღმერთი, ეს მაინც დამიჯერეთ რომ უშანგი და ყარამანი დაუტოვეთ, რაჰინდ-ხელმწიფეს დამეორჩილეთ და ამის ერთგულად ემსახურეთ, თვარა ხელმწიფე ეხლავე ბრძანებს და ცოცხლების ამ ცუცხლში დაგვავსოთ. რა ყათრანმა ესე მოისმინა მრისხანის თვალთ შეხედა უკვლას და სთქვა: „წუეულებო, რაც გსურთ ის ჰეავით, იცოდეთ, რომ რასაც სჩმახვთ ჩვენგან არც ერთის აღსრულება არ იქნება“. დუზდი-ავსარს უთხრა: გამოცალე შე წუეულო, თვარა ვფიცავ უშანგს და ყარამანის თავს, თუმცა შეგრული ვარ ისეთს საქმეს გიზავ რომ ხმა ვკლარ ამოიღო“. ამ უამად ყარამანმა გარდასქეშნს ჰკითხა: სმანდიერი რომელია რომ შე იმისგან გავიქცე და ან რის ძაღის მატრონი და სახელგანთი

საქმის მომქმედი არის? როდესაც ესენი ამ საუბარს იყენებენ სარგებურად-
მანმა თავის ძიძის უთხრა: ძიძუ, მიგვიჩინე რომ გარდანიქმანმა ეს ზერო-
ბილნი დაივიწყაო, მაგრამ მე უნდა უფლის მხრით ვეცადო რომ ეს ია-
ლევანნი სიკვდილს მოვარჩინო, მე ამით შეტოდების მიტყვევას ჩემს მა-
მას ვაჯობი და თუ ვედრება ჩემი არ მიიღო, ძალითაც არის ესენი უნდა
გამოვიხსნა. ძიძამ მოახსენა: ჭეი! თვალთა ჩემთა ნათელი, მე ვგონებ
რომ გარდანიქმანი აქ ფარულად იდგეს სადმე. რა ესე სთქვა ოთხსავე
მხარეს თვალნი მოავლო, ჯალათნი რომეზნიც სმალ მოწყვდილნი იდგნენ
მათ უკან ორი შავით მოსილნი კაცი იხილა, მათთა ზირთა ელვარება
მხეს ეკამათებოდა აქეთ და იქით მიმოიხედვიდნენ, სიფიცხით თუ ვსთქვა
ქარსავით უმაღლესობდნენ.

რა სარგებურადმანმა და ძიძამ იგინი დაინახეს, მაშინვე იცნეს რომ
ერთი იგი ლომთა-ლომი ყარამანი იყო და მეორე გრძელეულთა უხუცესი
გარდანიქმანი. რა ქალმა ყარამანს შეხედა, სიყვარულის ტვირთი გაუ-
მრავლდა და ძიძის უთხრა: ათასი მაქებარი უნდა ამ მამცთა რომ ესე
უშიშრად დგანან ამ იალევანთა და ჯალათთა შიგან და არაფერს ეპუე-
ბიან. რა ესენი ამ საუბარს იყენებენ, რაჭინდმა ბძანა: ჭეი, სარდალნი და
დიდებულნი! ამ ზერობილთა დახრცისას რას იტყვიით? მათ მოახსენეს:
შარბილო, ამათხედ რისხვა თქვენი ესრედ უნდა მოხდეს რომ მსმენელ-
თაც უფუელთა ეშინოდეთ და ამითათან საქმე კვლავ ვეღარ გაბედონ. მა-
შინ რაჭინდმა ბძანა მათ თავების დაურევიებთა. ამ ბძანების მსმენელნი
ინდონი ჭვრეტად წინ წარმოზდგნენ და ჯალათნი მათ დახრცას ლამობ-
დნენ. რა ყარამანმა და გარდანიქმანმა მათი სასიკვდილოდ გამომეტება
აიდასტურეს, გარდანიქმანი წარსდგა და რომელიც ჯალათთა უხუცესი
ყო მას თავს ისეთი მჯიღვი დაჭკრა რომ თავი ტანს შეაჭულიტა და
ისე საწყლად მოკლა, ყარამანიც მივიდა და სხვათა ჯალათთა თავები და-
ურევიან. რა მათგან მოიცალა მეჯლისის საშუალ ალაგს წადგა, მარჯ-
ვენა ხელი მარცხენას გვერდს შემოიფლო, მარცხენა მარჯვენას და ისეთი
საზარელი ხმით შესძახა რომ მსმენელი უსულოდ იქმნენ და ზოგთა
ცნობა დაეფანტათ, რაჭინდს და სხანდიერს ასე ეგონათ ცა ქვეყანას და-
ეცნა და იგინიც დაიბნიდნენ. რა სარგებურადმანმა ხახა ამათი მოქმედება
დიდს სიხარულს მიეცა. ცხენნი, მარტორქანი და სხილანი დაფრთხნენ,
დაწყვიტეს საბანი და მიხდონს გარბოდნენ, ლაშქარნი ისე შეშინდნენ
და შეიშაღნენ რომ მეორეთ მოსვლას ეგონათ და ერთი მეორეს ვეღარ
სცნობდნენ. რა ეველანი უცნობა შეიქმნენ, მაშინ უათრანმა წამოიხტა
და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაზიდვით შეკრული ხელ-ფეხი დაიწ-



უვიტა. ყარამანი და კარდანიქეშანი მივიდნენ სხვათა ზურობილთა სულ-ფეხნი გაუხსნეს ზე აყენეს და წასასვლელად გაემზადნენ.

მაშინ სარვიხურამანი ყარამანთან მოვიდა, სალაში ჭკადრა და ქება შეასხა, ვიდრე ინდოთ ლაშქარს გამოიფლიდნენ თან იახლა, რა ლაშქართა გამოსტილდნენ ქალმა მოახსენა: „ჭეი, ფაღვეანო! თუმცა თქვენ ესოდენი ჯათა არ გაგეწიათ და აქ არ მობძახებუელიყავით, ამ ზურობილთა მეც გავანთავისუფლებდი, მაგრამ ვითა ჭახუკობას შენსა ეკადრებოდა ისეთი საქმე მოქმედე და შენი ძლიერება სზანდიერსაც ახვეზე, ყარამანმა მადლობა მოახსენა იმის თანაგრძობობისთვის, თავი დაუკრა და გამოესალმა, შემდეგ უთხრა: სზანდიერის საქმესაც ღმერთი ვაარიგებსო.

რა ესე მოიუბნეს, ქალი თავის ლაშქარს წავიდა, ყარამანი და სხვანი აქეთკენ წამოვიდნენ. რა თავიანთ ლაშქართან მოვიდნენ, მას ღამეს ქეშიკათა უფროსი ეაჭუაი-ფელიურსარი იყო, მან ნახა რომ რამდენიმე ქვევითნი კაცნი მოდიან, თვისი ლახტი აიღო და მათ წინ გადაუდგა, რა ივინი ახლო მივიდნენ ყარამანი და კარდანიქეშანი იცნა, შემდეგ ერთნი და სხვანი ფაღვეანინიც. მასვე წამს გამობრუნდა ხელმწიფის კარს მოვიდა და მათ ამბავი აუწყო. უმანგი დიდ სიხარულს მიეცა და დიდებულთა წინ მიგებება უბძანა, ფაღვეანნი მიეგებნენ, რა ახლოს მივიდნენ ხელმწიფე კარზედ გამოეგება, ყარამანს შუბლს აკოცა და მრავალი ქვეუნიები უბოძა. მაშინ ყარამანმა მოახსენა: „ჭეი, მადლო ხელმწიფეო! მე მონა თქვენი რასაც სახელს ვიქმ სულ თქვენი დოჯალათით“ და თავიანთი სტა. ესე სიტყვა ხელმწიფეს და დიდებულთა მოეწონათ, დალოცეს და ქება შეასხეს.

რახინდის მხარეს ყარამანის ზახისაგან ხელმწიფეს და ეოჯელთა იქ მეოფთ ცნობა მიეფანტათ, რა ხანი გამოხდა და გონებას მოეკუნენ, რახინდამ მიიხედა ნახა რომ ინდოთ დიდებულნი შეშინებულნი, ჯალათნი სრულიად დახრცილნი ეყარნენ, ზურობილნი ფაღვეანნი მის წინაშე აღარ იევენ და დახრცილნი მოლაშქრენი კაცი კაცზე ეყარნენ. სზანდიერ-ბარმა მოახსენა: „ჭეი, შარელო! ეს ვითარი ამბავი იყო რომ ჩვენ მოგკვედინა? და ანუ ეს სირცხვილი ჩვენ თავს ვისგან სჭირსო? ხელმწიფემ უბასუხა ამის შემძლე ერთი ერმა კაცია, ჯერეთ ათ-შვიდმეტის წლისა, უწვერ-ულვაშო, ამ საქმის მოქმედი ივია, შენი ძმაც იმან მოკლა. აწ იგი ორმოცჯელ ასი ათას მოლაშქრეთა შიგან შემოვიდა თამამად, თავისი ამხანაგნი განთავისუფლა და თითონ უვნებლად წარვიდაო. ამ სიტყვაზედ სზანდიერმა თავი გაიქნია და საგონებელს ჩავარდა. ამ საქმის მხახველი სარვიხურამანი ფარულად იცინოდა. იმ ღამეს ოცი ათასი ინდოელი



დასტოვდნენ. რაჭინდმა შვედრების ცეცხლში დაწვა ბრძანა, მონათა მოაგრძეეს შვედრები და თავიანთ წესისამებრ დაწვეს ცეცხლში. მას დაშეს სხანდიერ-ბარი ამ საქმეს დიდათ შეიჭირვებდა.

აქა სხანდიერ-ბარისაგან უმანგ-მაჭის ფაღვეანთა დასტოვდა და ყარაბაღისაგან მისი სიკუდილი.

რა დილა გათენდა და სსწუთროსა დამამშვენებულმა შუემ ადმოსა ლეუთით ოქროს სვეტი აღმართა, საომარსა ნადარს ჭერეს, მაშინვე ორთავ ლაშქარმა საომრად მზადება იწვეს და წესისამებრ დარაზმდნენ, მივიდნენ და მოედნის ბიძს დადგნენ. მაშინ ინდოთ მხრით სხანდიერ-ბარი მოედანს გამოვიდა, მრავალნი ინდოთ ფაღვეანნი იახლნენ. ერთსა სმილას მისი შეტი საომარი იარაღი ეკიდა და თან მოხდევდა. სხანდიერი ამჟის ქცევით მოედანს მოვიდოდა, დიდად იქადიდა და საომრად ფაღვეანს გამოითხოვდა, უმანგის ლაშქრიდამ მათუხ-ყარნი გავიდა, ხელთა ორთავი ეჭირა და გულ-შესისხლედ სძგერად მიუტანა. სხანდიერმა ორთავს მათრახნი აუკრა და თავს გადაიფლო. ხელი სარტყელს მიჭეო აზიდა მათუხ-ყარნი ცხენიდამ და ქვეყანას დაჭკრა და მსწრაფელ მოკლა. რა მურყამ წოდებულმა ფაღვეანმა ესე ნახა, ლახტი აიღო და მოედანს გავიდა, სხანდიერს მიუხტა და ლახტი დასაკრავად მიუტანა: სხანდიერი მისწვდა, ლახტი ხელთაგან წაართვა და მასვე დაჭკრა თავს. ასე ძლიერად მოხვდა რომ თავი გვამში ჩაუძვრა და იგიც მოკვდა. ამის მხილველი ხითარ ფაღვეანი მოედანს გამოვიდა იგიც ლამობდა ომს, მაგრამ სხანდიერი მოუხტა ლახტი ხელთაგან წაართვა შიქს გადააგდო, ხითარს ხელი მიჭეო, უნაგირიდამ ახდა, გასწია და ორად გაგლიჯა, უმანგ-მაჭის შესტოვრცხა. თვით განრისხებული მოედანსა ვეშაშავით ვიღოდა და ბირით შერეულს ჭეროდა.

რას მასათარ ფაღვეანმა დაინახა საზარლად ამოიხრა და ესრედ სთქვა: ჩემის ძმის შემდგ მე ცოცხალი რადათ უნდა ვიყო. იგიც გავიდა მოედანს და სხანდიერს დაუსისწორდა. სხანდიერი განრისხებული მოუხტა და თავს ისეთი ლახტი დაჭკრა რომ ბირიდან სისხლმა რუსავით დენს დაუწეო, მობრუნდა და მეორეთაც ისეთი ძლიერი ლახტი დაჭკრა რომ იმ საწვადობელს ძვალი ხორცთაგან აღარ გაერჩეოდა, იგიც ესე საწეულად მოკვდა. გაამაყებულმა სხანდიერმა ხმა მადლად დაიძახა! სად არის იგი მხარავი, რომელიც წუხელის ჩემ ლაშქარში შემოვიდა და გან-

თავისუფლად ჰყრბობინი, იგი რათ არ გამოვა მოედანზე? ვიდრე სწავლიერი სიტუაცია დაასრულდება, ურამანს ენება რომ მოედანს გასულიყო, მაგრამ ბარამ-ჯიბილი შეკვიდრდა: ფაღვანო, მისი ომი მე დამანებო. ურამანმა მისი ომი მას დაანება. ბარამმა ღვთის სახელი ახსენა და ცხენი მოედანს გაიგდო. მისი მხილველი სწავლიერი წინ მოეკება და ესე შემოსახს: „ფაღვანო! ურამან ჭაბუკი შენა ხარ? ბარამმა მიუგო მე ურამანი არა ვარ მე ბარამ-ჯიბილი მქვან. სწავლიერმა შესახს, ჩინეთის ქვეყნას ქვად ქმნილად რომ იტყვიან იგი შენა ხარ? ბარამმა მიუგო, მართლს იტყვი, იგი მე ვარ, კვლად უთხრა სწავლიერმა: მამ მდღე ჩემი სიტუაცია დაიჯერე და ჩემად მონად შეიქმენ, თუ შენის თავის მშვიდობა გსურს, ბარამმა უთხრა: სწავლიერ ძლიერ გამაყებულხარ და იქადი. ესე უთხრა და გურჩი შეუმდლდა, სწავლიერმა თავს ფარი იფარა და დადგა, გურჩი ფარს მოხვდა ფარმა ვეღარ გაუძლო, ორად გასქდა და თავს ჩამოეცვა, სწავლიერს ორივე მხარი დიდად ეტკინა, ორი გურჩი სხვა სტა მაგრამ ღახტს აატანა და არა ეგონა. აწ რიგი სწავლიერს ერგო თავს ღახტი შემოიფლო, ბარამს მიმართა და თავისს განხრახნით ერთის ღახტის დაკვრით მიწასთან გასწორებას უბიერებდა, მაგრამ ბარამმა იგი ღახტი სიფიცხით აიცილია, მეორე ღახტიც აიცილია. რა სწავლიერმა ბარამის ესეთი სიმხნე და მისგან ორის ღახტის აცილება ხანა განრიხებულმა ღახტი შესძელ შედგრად მოუქნია. ბარამმა თავისი ღახტი მიაკება, რა ღახტი ღახტს მოხვდა, მათგან სსწინელი ცუცხლი გამოხდა. მაგრამ ბარამს არც თუ მაშინ ეგონა, რაღა გავაგრძელო; ღახტი, შუბი და ხმალი ერთმანერთს დააფეწეს და ვერა რომელმა აჯობა. რა სწავლიერმა ბარამს ბარამისგან ომი გასწორებული ხანა მიბრუნდა და თავისთა ფაღვანთა რაღაც ანიშნა.

თურმე სწავლიერს ერთი ფოლადის გურჩი შეექნევიანებინა, ოცდაცამეტი ადგილი სიგძე ქქინდა, თავი მისი დიდს ბარცვს უკვანდა, ცხრა ადგილს განხრეტილი იყო და დიდრანი ფოლადის რგოლები ესხა, მას რგოლებს ორმოც-ორმოცი ადგილი ჯაჭვები ება. მის ჯაჭვის ბოლოებზე ათ-ათი ლიტრისანი რკინის ბურთები ება, ომი რომ გაუჭირდებოდა, მაშინ იმ გურჩს მიათხრვდა.

რა თავისთა ფაღვანთა ანიშნა, მათ მაშინვე იგი იარაღი დიდის მოხილვით მოიღეს. სწავლიერმა ხელი გაუწოდა, მათ ფაღვანთა იგი გურჩი გამოართვა, აიღო და კვლად ბარამს მიმართა და შეიღჯერ თავს შემოიფლო, გურჩის ბრუნვისგან ისეთი ხმა გამოხდა რომ მისსა მსმენელსა გულის შიში არ მოაკლდებოდა. ამისა მხილველნი ბარამ-ჯიბილი-



სკან უიმედო იქმნენ. ბარამმა თავის თავი უფაღს მიანდო. ერთი ფაღ-
 ჯადილამ შექმნილი შვიდ-კაცი ფარე ქქონდა, იგი თავს დაიდგა და და-
 დგა. სზანდიერი მიუსტა და იგი საშინელი გურზი შედგრად დაჭკრა,
 იგი შვიდი რინის ბურთი ფარს მოხვდა. ერთიც ბარამის ბუჭს და ერ-
 თიც მარტორქის თავს, მარტორქა მამინვე ქვე დაეცა, ბარამი მსწრაფლ
 გადმოხტა და ქვევითად დარჩა. იმ წუთულს ენება მეორეთაც შედგრად
 დაეკრა და ბარამი მიწასთან გაესწორებინა, მაგრამ მამინ უარამანის სა-
 შინელი ხმა მოესმა; ამ ხმაზედ სზანდიერი დიდად გაჭკვირდა და გაშტე-
 რებული აქეთ-იქით იუურებოდა. ნახა რომ უარამანი განრისხებული მასზედ
 საომრად მოვა. მისნი მხილველნი ინდოთ ლაშქარნი შეშინდნენ და ერთ-
 მანერთს ეტნენ, მრავალი კაცი ცხენთაგან გადმოვარდა. სარკინურამანმა
 იგონო რომ სზანდიერს უარამანის ხმისაგან ცნობა მიჭყვანოდა, ძი-
 ძის თვისის თან სვება უბძანა, მოედნის თავს გავიდა და დადგა. სზან-
 დიერს შეხედეს და მისს საქმეს ჰკვირობდნენ. თურმე ისე გაშტერდა
 რომ ხან ცას უჭვრეტდა და ხან ქვეყანას, თურმე ცისა ქვეყანაზედ დაცემა
 ეგონა. საჯდომიც ისე შეშინებულყოფი რომ ერთ ალაგს აღარ დგებოდა.

რ უარამანი გავიდა თავის მხეცზე მჯდომი, გარდანქეშანს აღმასის
 ნაჯახი ხელთა ეჭირა და წინ მოუძღვოდა, ისეთი მშვეებით მოვიდოდა,
 რომ მნახვთა შტერთა თუ მოუვარეთა, ეველას მოეწონებოდათ, მისთა
 მხილველთა ინდოთა, შიში უფლუ არ მოაკვლდებოდათ, რა სზანდიერს
 სიანლოვეს მოვიდნენ, სზანდიერს მათი მოხვლა არად იამა, მაგრამ ბრძო-
 ლის ველიდამ ვერ გაიქცა. მსწრაფლ ჰკუთ-გონება მოვიგობა, მომავალთა
 შემოსძახა და მათი ვინაობა იკითხა. გარდანქეშანმა ხმა უფო: «წეი დევ-
 თა ნამობო! ეს ფაღუგანი იგი არს, რომელმაც შენი ძმა მოკლა და აწ
 შენც გაფრთხილდი რომელიც აღსასრული შენზეა მოსული და განრისხე-
 ბული შენზე მოვაო». რა სზანდიერმა უარამანს შეხედა ისეთი საზარელი
 სულთქმა აღმოახდინა გულისდან რომ მისი ხმა ორთავე ლაშქართა გაი-
 გონეს. შემდეგ უარამანს შემოსძახა: „წეი, შე წუეულო! იქნება შენ უარ-
 მანი არა ხარ და სახელი მისი დაგეჭვას?! იმან ჩემის ძმის სიკვდილი
 როგორ გაბედა იგი გამოვიდეს მოედანს რომელიც წუხელის რაჭინდის
 ლაშქარში მოვიდა და ერანელნი ზერობილნი გაზარა, ჩემი მეომარი იგი
 არის“. უარამანმა შესძახა: „წეი, შე საწუალო დევთა ნამობო! საუბარს ნუ
 სჩამახვ, გაფრთხილდი რომ შენი ძმის კვალს მინდა გამოგიყენო რად-
 გან გუვარებია იგი“. რა სზანდიერს თვისი ძმა მოგონდა ესრედ საწუნ-
 რად ამოიხსნა რომ მსმენელთა უზომოდ შეებრძალათ.

რა ერთმანეთს დაუსისწორდნენ, მამინ სზანდიერმა თვისი ჯინჯი-



ჯებიანი გურზი თავს შემოიფლო და ყარამანს დასაკრავად მოუტანა, ყარამანმა მარტხენის ხელთ იფარი დაიფარა და მარჯვენის ხელთ ხმალი ამოიღო; ვიდრემდის მოქნეული გურზი თავის ახლეს მოვიდოდა ყარამანმა მას გურზს ხმალი შემოჰკრა და რომელიც ჯაჭვებით რკინის ბურთები ება, ხუთი მათგანი მოსწვევიტა, დანარჩენი ოთხი რკინის ბურთი ფარით აიცილნა და თვით უფნებლად გადაურჩა. ამის მხილველნი კრანთურხანელნი ფალეკანნი და მოლაშქრენი ყარამანს ქებას შესასვდნენ და ჩაუშნი შაბაშ-შაბაშის ხმას გაამრავლებდნენ. რა სზანდიერმა ყარამანის უფნებლად გადაჩნობა ნახა არა მტირეს მწუსარებას მიეცა. მშინ განრისხებულმა მეორე გურზი მოუქნია, ყარამანმა კვლად თავის ბასრი ხმალი შეაშველა და იგი ოთხი რკინის ბურთიც მოსწვევიტა. სზანდიერი მეტის მრისხანებით ტყცხლებერ აენტო. მესამეთ იგივე გურზი მოუქნია, ყარამანმა ფარი მიაშველა და იგი ნაკრავი მას აატანინა.

რა სზანდიერმა სამი გურზი სცა, აწ რივი ყარამანს ერგო: ხმაღს ხელი მოიფლო და ესრედ შესძახა: «სეი, მატღურო! ამოდენა ფალეკანნი რომ დახორცე, აწ სისხლს მათს გაზღვევინებ! ესე სთქვა და ხმალი თავს მოუქნია, სზანდიერმა გურზი თავს იფარა, ყარამანმა ხმალი დაიბრუნა და გვერდს სძკვერლად მიუტანა, სზანდიერმა გურზი თავიდან მოიშორა და მვერდს მიიფარა, ყარამანმა ქარის უმაღესად ხმალი კვლად გაიბრუნა და მუზარადს სცა, მუზარადი გაჰკვეთა, ბასრი ხმალი თავს დაემღერა, თვალს სტუმრად ეწვია, ენას ემუსაიფა, ეელის გზა იზოვა, გულს არა სიხარულის ამბავი მიაერთვა, სზანდიერ ფალეკანი ორად გაჰკვეთა და მისი მარტორქარ უფნებლად არ დააგდო, მატროსნავით ორთა გაჰკვეთა, სჯღღამი და მხედარი ორად გაკვეთილნი ძირს დაეცნენ, მათმა სისხლმა რუსებერ დენა იწყო. ორივე დიდთა ხელმწიფეთა ლაშქარნი ამ საქმის მხილველნი გაცრებით იუერებოდნენ.

ამ უმად სარვიხურამანი თავის ძიძით ყარამანს შემოხვდნენ და ესე უთხრა: „ხემებერ მაქებარი ათასიმტ ჭირსა შენსა შეეყაროს! შაბაშ შენთა მკლავთა ძლიერებას, რომ მტერი შენი ეგრე გაჰკვეთეთ!“ რა ესე უთხრა გაბრუნდა და თვისსავე ლაშქარში შევიდა. ვიდრე ქალი ამ სიტყვას დასრულებდა ყარამანმა თავი დაუკრა და მადლობა მოახსენა. სზანდიერის სიკვდილმა ინდოთ შიში უზომოდ გაუმრავლა. ყარამანი მოედანზოვევ იდგა და საომრად ფალეკანს ითხოვდა, მაგრამ მის შიშით ბრძოლა ვერავინ გაბედა. რა მებრძოლი აღარავინ გამოვიდა ყარამანმა რაჭინდის დროშას შეუტია, მისმა მხილველმა ინდოთ ხელმწიფემ თვისთა ფალეკანთა და სარდალთა შეტევა უბრძანა, მაგრამ მისი შეტევა ვერავინ გაბედა.



აქ ომი ძრეელი, ყარაშანისა და სპანდიერბარისა.



ამ მიზეზით რაჭინდი არა მცირე მწუხარებას მიეცა და თავის ასულს უბძანა: „ლემო, თვალითა ჩემთა ნათელია! თუ მაგ ფაღვეანს შენ არ შეუბოძებ, სხვას მაგის ომი ვერგის ძალ-უძისა“. ქალმა მოახსენა: „ხელმწიფო რადგან ჩვენი საქმე ესე მოხდა, სხვა არა არისრა ღონის ძიება, ბრძანეთ რამ ომის გასაყარს ნაღარს შეგბერონო და უმანგ-ხელმწიფოს უნდა დავმორჩილდეო! დაშქარი სულ ამოგვიწვიტა, გამოჩენილნი ფაღვეანნი ადარა გვეყვს, ამაზე მეტი ბრძოლა თქვენი დანაჯლისია“. რაჭინდმა უბძანა: „ლემო, სიცოცხლისა ჩემისა სარჩეო! ეგ საქმე წინადგე უნდა გვეფიქრნა, ამ ჟამად უმანგ-ხელმწიფოს მრავალი ფაღვეანნი და სარდარნი გაუწვიტეთ და ახლა მშვიდობას როდის იხებებს“. ქალმა მოახსენა: „ეგ სამსახური მე მიბოძე და თქვენის ბედნიერებით კეთილად მოვახდენო“. მაშინ უბძანა: „თვალითა ჩემთა ნათელია, აწ როგორც გუნებოს ისე აასრულე“. სარგისურამანმა მაშინვე რამდენიმე ინდოთ ფაღვეანნი თან იახლა და უმანგ-ხელმწიფოსაკენ გაემართნენ.

აქ უმანგ-მანჯის და რაჭინდის შერბიკება უარმანისა და სარგისურამანის შუამდევლობით.

ქალი და ინდოთ სარდარნი ერანის დაშქარს მივიდნენ, წინ ფარმანი დაუხვდათ, ფაღვეანმა და ქალმა ერთმანერთს სალაპო მოახსენეს, ფაღვეანმა შესძახა: „ლემო, მეუფის ასულია! კვლად სომრად მოხვალ?“ ქალმა უპასუხა, არა ხელმწიფოა ჩემო, არა თუ სობრძოლეკლად არამედ მშვიდობისათვის ვისწრაფებიო. „ლემო, ფაღვეანთა ფაღვეანო! თავი ჩემი წინაშე მომიღია, ვუდრება მაქვს თქვენთან, შეტოვება მამის ჩემისა უმანგ-ხელმწიფოსაგან იურფოთ და დღეის შემდეგ მამაჩემი რაჭინდი მის სამსახურად მზად იქნება“. რა ქალმა ესე სთქვა, ზირილამ საბურველი მოიხსნა და ფარმანის ზირისზირ დადგა. რა ფარმანმა მისი სახის ეღვალება ისილა მის სხივის ჭვრეტას ვუღარ გაუძლო, თვალითა სული მიიფარა და ესე ლექსი სთქვა:

როს გადინდი საბურავი, შენ გამგზავსე მთვარეს ზირად,
 როს გინილე დავიწუსე, თვალითა შენთვის იქმნენ მტირად;
 აღვახილე და გინილე, ვით ჩავიჭერ ტრიალთ ძირად,
 მხეს გამგზავსო თუ მთვარესა, ან მუთარი ხარ ნამდვილად.

ფარმანმა თვალითაგან ხელი მოიშორა და ესე უთხრა: „ლემო, ქვეყნის მხათობო, როდესაც ესე ალაგი მშვიდობისათვის შემოვალხე, მამისა

შენის სწავლას და შენს აწვევ ადვანსრულებო. რა ესე სიტყვანი მოი-
უბნეს, ურამანი და სარვიურამანი უმანგ-ხელმწიფისაკენ გაემართნენ. რა
ხელმწიფეს მათი მომავლობა მოხსენდა მამინვე წინ მიეგება, და ფაღვეან-
თა უმაღლესნი ურამანი და სარვიურამანი მშვიდობით. მოვიითხა. მამინ
ურამანი წინ წარსდგა და მოახსენა: „წეი, მარელო! ამა ინდოთ მეფის
ასუღას სარვიურამანს თქვენსა წინაშე ურამანი შუამავლად მოუფლებია,
რამ შეცოდება რაჟინდ ხელმწიფისა ანტივოთ და ურიგოთ აღარ მოხს-
ნენით, და შეირიგოთ, ვითა სხვა ხელმწიფენი თქვენდა მოჩივლად იქ-
ნებთან ყოველთვის:“

ამისმა მსმენელმა უმანგ-ხელმწიფემ დამადებლის ღვთის სხელი
შეკვიტა რამ დღეიდგან რაჟინდს აღარ უმტეროს, ამისთვის რამ მკ
ქლისკან მრავალი სიკეთე მომცინდება. ურამანი მოვიდა და უმანგს
ხელს აკოცა. ხელმწიფემ მისის გარჯილობისთვის მადლობა უბრძანა და
მრავალი ქვეყანა უბრძანა, სარვიურამანი მოვიდა და ხელმწიფეს ფერხთა
მოუხვია, რა ზე აღზდგა მხარს ხელსახოცი გარდაიგდო და ვითა შემ-
ცოდე დადგა, ხელმწიფობა უმანგისა დადგა და მოახსენა: „წეი, მადლო
ხელმწიფეო, წინაშე თქვენსა ვიჯი, რათა შეცოდება მამისა ჩემისა აღარ
მოხსენიოთ“. რა ესე სთქვა მიწას დაემო. რა უმანგმა სარვიურამან-
ისკან ესრეთი სიმდაბლე და გედრება მოისმინა, სმინელი ფერით შეკვიტა
და უთხრა: შეცოდება რაჟინდისა მიმიტყუებია, სუგუნოდ დავიწუებას მი-
მიცია რამ ჩემს დღეში აღარ უმტერო, მისივე სამკვიდრო ინდოთი
მისთვისვე მიმიციაო, აწ წარვედით და რაჟინდ წინაშე ჩემსა მოვიყანეთ
რო, ერთმანერთის ნახვით გავიხაროთო, მეც მიხდა ჩემს სხელმწიფოს
წარვიდე. სამოცდა ორი წელიწადია ბრძოლასა და სისხლთა ღვრასა ში-
ნა ვარ, აწ სულისა ჩემისა გზის გაგება მიხდაო, ესოდენი ლაშქარნი და
ფაღვეანნი რომელთა ჩემის ერთგულობისთვის მრავალი ომები გარდუხ-
დათ და უმრავლესი ჭირი უნახვით, მიხდა თავიანთ ქვეყნებში გავისტუმ-
რომ მეც ჩემს აღავს წარვიდე და ქვეყანა ესე მიხდა ურამანს მივსტე,
ამისთვის რამ, ამისგან კიდე სხვას არავის ეკუთვნისო. რა ესე სიტყვანი
დაასრულა, სარვიურამანისთვის ცხენისა და სამოსლის მოღება ბრძანა,
მონათა ცხენი ოქროს მოკაზმულობით მჭკვარეს, სამოსელი ძვირფასი
მოიღეს რამ ერთის სხელმწიფო ქვეყნის წლის ხარჯის ფასი იყო,
სხვანიცა ინდოთ ფაღვეანნი შემოსეს. უმანგ ხელმწიფემ თითიდაგან ბე-
ჭედი წაიძრო და მშვიდობის ნიშნად რაჟინდისთვის მისატანად სარვიურ-
ამანს უბრძანა, გარდანქმანიც თან წაყოლა და ისრე გაისტუმრა, ივინი,
მსწრაფად წარვიდნენ.



რას ინდოთ დიდებულთა სარგებურამანის მომავლობა დაინახეს, მისწრაფად წინ მოეკებნენ, ქვევითნი წინ წარუძღვნენ და რაჭინდის კარავს მიიყვანეს, ქალმა, თვისსა მამას დიდი ქება შეასხა და წინაშე მისსა დადგა. ინდოთ დიდებულს სარგებურამანს ზიარს შესტყვეროდნენ, თუ რა ამბავს იტყუის. შიშით ზირზედ ფერი აღარა ჰქონდათ. რა მცირე ხანი გავიდა ინდოთ ხელმწიფემ თვისსა ასუფს ჰკითხა: „სწე, სიტყვებისა ჩემისა მიხეცო! უშანგ ხელმწიფის ამბავს რას იტყუი? სარგებურამანი ნახის ქვევით წინ წარსდგა, უშანგის მაგიერ სულამი მოახსენა და ბეჭედი ნიშნად გამოგზავნიდი მიახრთვა. მისნი მხილველნი ინდონი დიდს სიხარულს მიეცნენ, ამისთვის რომ, უარამანისგან დიდათ ეშინოდათ და თავიანთ თავისგან უიმედონი იყვნენ, ქალმა მოახსენა: „უშანგ-შანგამ არა მარტო შერიგება ბრძანა, არამედ ინდოეთი თქვენ აუცილებლად დაგიპოვიდრათ და რაც ამბავი ყოფილიყო ყოველივე მოახსენა“. რა ინდოეთის ხელმწიფემ ესე მოისმინა მასვე წამს ბრძანა: სამხიარულად ნაღარას შეკებერონ. ჩაუშთა მდღად სმანობა შექქმნეს რომ ინდოთ ხალხნი ამა საქმესა ზედან გამხიარულდნენ, აწ ქვეყანამ მოისვენოს რომ დღეის შემდეგ მშვიდობიანობა იქმნება და მტერთაგან ნულარ ეშინიანთ. ესე ამბავი გაისმა ყოველს ინდოეთსა, იხარებდნენ ერთი ინდოეთისანი დიდის სიხარულით—და აღარ იყო შიში გუფსა შინა მათსა. მერმე რაჭინდმა სძღვნოდ ფეშქაშის მზადება იწყო, ვინ აღრიცხავდა მას, მათგან სძღვნოდ მომზადებულს, რომელ დღესაც უშანგ-ხელმწიფესთან ხელუბას ახიარებდნენ იმ დღეს მომზადებინა მრავალი ძვირფასი საუნჯენი გასაგზავნად.

აქეთ მხარეს ძლიერი და მადლი ხელმწიფე უშანგი თავის ტახტს დაბრძანდა. ერანელნი და თურანელნი ფაღვანნი და დიდებულნი თავთავის აღავს დასხდნენ, ნადიმი დაიდგეს, ღვინისა და განცხრომისა იმყოფებოდნენ. მაგრამ უარამანს მიჯნურობა დასტუბოდა, ზირსა ფერი უკრთებოდა, ხან და ხან სულთქმის მღუღარის გუფით აღმოახდენდა. ხელმწიფემ უარამანს შეხედა და სუვდის ისრის დაკადილობა და მიჯნურობის მოუთმენლობა შეატყო, მაშინვე გუფსა შინა სთქვა: (ეს უმარწვიდი უთუოდ სარგებურამანის ემხს შეუხერიაო). ამ გვარად საქმე თვით უშანგსაც გადახედოდა და ამით უფრო დაიჯერა. მასვე წამს გარდასქმან-აიარი მოიხმო და იგი ამბავი გამოჰკითხა. მან მათი საქმე უკუდა თვითუფლად მოახსენა. მაშინ ხელმწიფემ დაიბრძანა, დიდებულნი ხვალვე უარამანისთვის რაჭინდის ასული უძღვინათ. რა ესე სიტყვა მუნ მსხდომთა დიდებულთა ესმით ერთობით მოეწინათ.

აწ ინდოეთსავე ამბავი მოახსენიეთ. მშვიდობისთვის უზომოდ გა-



შიარებულმა ინდოთ ხელმწიფემ ნადიმი დიდი დაიღვა და მეჯლისი გამართა, თაღუვანთა და სხვათა უზომო საბოძარი გასცა, ლაშქარნი საქმლით ავსო, ნადიმი გარდასწყდა, სარვისხურამანი თავის კარავში წამოვიდა, ყარამანის სიუვარულს მისი გონება შეეპურა და არ იცოდა თუ რას იქმოდა, თავის ძიძას უბრძანა, დამის სამოსელი მოაღებინა, სწრაფად ჩიცვა, მარჯვნივ და მარცხნივ წელთა ხანჯლები გაიჩქო, ძიძა თან იხსლა და ესე სთქვა, ღმერთო თუ ჭაბუკი იგი ყარამანი ჩემ ბედად იქმნებოდეს, სიუვარული ჩემი მასთან მკვიდრობდეს და ამ ღამის მოწყალებით და შენითა მისი ნახვა შეღირსოსო. რა ესე სთქვა ორნივე სწრაფად წავიდნენ. ჩქარის სიარულით ყარამანის კარავს მიახწიეს, ნახეს რომ დარაჯთა ეღვიძათ და ერთი მეორეს უცხო საუბრით შექცეოდნენ. რა ქალი ამათსა ქცევას უჭვრეტდა ამ ჟამად გრძნეულთა უხუცესი გარდანქმანი ყარამანის კარავს შევიდა. რა ოთხსავე მხარეს თვალი მოავლო, ნახა რომ ორნი ვინმე შავით მოსიღნი, ხელთა ხანჯალ მქონებელნი სალაფარდის უკან ფარულად დგანნ. გარდანქმანმა იმათ არ შესძახა, მტირე ხანს დაკვირდა, სთქვა ვნახე ესენი ვინ არიანო, მათ გარდანქმანი ვერ დაინახეს. ძიძამ ქალს მოახსენა: ნეტამც გარდანქმანი ამაღამ აქ ყოფილიყო რომ გვენახა, ქალმა უთხრა ძიძას: მეშინიან ვაი თუ გარდანქმანი აქ საღმე იყო, გვიტროს და საქმე გაგვიმუდგუნდესო.

რა ესე საუბარი გარდანქმანს ესმა, იცნა რომ სარვისხურამანი და მისი ძიძა იყვნენ. იმ წამსვე წინ წარსდგა. რა ძიძას თეხის ხმინახობა მიესმა, მიბრუნდა და ხანჯალ მოწვდილმა სწრაფად შეუტია. მამინ გარდანქმანმა ხმა უყო: ჭეი, მნათომ! მოყვარე ვარ, არა მტერიო. რა ესე ხმა სარვისხურამანს ესმა იცნა რომ გარდანქმან-იარკი იყო, დიდად იამა და ძიძას უბრძანა: ხელავ ჩვენი საქმე როგორ კეთილად მოხდაო. რა გარდანქმანი ახლას მივიდა, ქალმა მშვიდობით მოიკითხა. გარდანქმანმა პირი მიწას გაერთებით თაყვანი სცა, დალოცა ქება შესცხა და მოახსენა: „ჭეი, ბანოვანთა თაფო! ეს რა მიზეზია რომ უდრო-უდროთ აქ გარჯილხარ და ანუ საწადელი შენი რა არისო! ქალმა პასუხად უგო, ჩვენი საწადელი შენი ნახვა იყო და აწ გვიხარის რომ შენ აქ დაგვხვდიო. გარდანქმანმა თავისსა კარავს მიიწვია. იგინიც წარვიდნენ და გარდანქმანის კარავში შევიდნენ, სარვისხურამანმა პირს საბურველი მოიხსნა და იგი სამეფო ეგრეთ განათლა რომ კაცს ეგონებოდა მზე არის ამოსულიო. ძიძაც ისრეთი მშვენიერი იყო, რომ მისნი მხილველნი მთვარეს სადაროდ იტყოდნენ. მათ ორთა კეკლუტთა მშვენიერის მჭვრეტელნი ბრძენნიც რომ ყოფილიყვნენ მათაც ცნობა მიუფანტებოდათ, ღვაწთა მათთა ეღვაწება იგი კარავი ნათლით ისე ავსო, რომ მის მიღამოს სიბუნების



ზეწარი დაიხია. სარვიხურამანს ბრძლის ზიქსა. ვითა ვარღსა დიღის ნამი ეგრედ სირცხვილით ოფელი მისხმელა, მაგრამ ეშის ალსა გონება მისი შიკვავა და ზიქსა ფერი უგრთებოდა. გარდანქეშანმა მოასხენა ზეი, ქვეყნის მნათობთა ხელშეიფეთ! ეგე ფერთა შენთა ერთობა ეშნიდგან უნდა იყოსო. რა სარვიხურამანმა ეს გაიგონა, სირცხვილით თავით-ფეხამდის ოფელმა დასხა, თავი ქვე ჩამოიგდო და ზევიით ვეღარ აიხელა.

რა მტირე ხანი გამოსდა გარდანქეშანს უთხრა, მამანნი თავსა თვისსა მოყვარესთვის ახატვალეებენ, მაგრამ ხსიათსა თვისსა არ გამოცანადებენ, და აწ საიდუმლოსა ჩემსა გითხრობ და ვითარ სიკეთესა შენსა ჭიფერობდეს ისრე დაჭიფარეთ. რა გარდანქეშანმა ესე მოისმინა, გულისა შინა სთქვა: ამ ქალის ხელთაგან რამდენნი სახელგანთნი ფაღვანნი დახრცილან და მრავალ ჰატომრად შექმნილან—და აწ ხელავ სურვილსა ვითარ შეუბურია რამ, რას იქმს არ იცისო! ამოდენა ლაშქარში შემოსულა და არავის მოკიდებია, მიჯნურებით სირცხვილის ფარდაგი ზირილამ აუხლია. გრძნეულთა უხუცესმა თავი ქვე დაჭკიდა და მდაბლისა სიტყვით ესე მოასხენა: ზეი, ქვეყნის მნათობო, მე საიდუმლოსა საუბრის საუნჯე ვარო, სიტყვა იგი რამელი ჩემად ფარულად ითქმის, ესე იცოდეთ, ვითა ზღვაში ქვა ჩავდო და მისი ჰოფნ უფლე არ იყოს, ეგრეთვე ჩემთან თქმულის სიტყვისა სხვასთან არ იქნება. ჯოდრე საწადელსა შენსა ავასრულე მე თავსა ჩემსა მოსვენებას არ მივსცემ. სარვიხურამანმა წელთაგან ხანჯალა ამოიღო, ყურთაგან საყურე გამოიყარა, ძიძის მისცა და უბრძანა გარდანქეშანს მიატოვო. მანცა მსწრაფელ მიატოვა.

რა გარდანქეშანმა იგინი ნახა ძრვიელ მოეწონა. ისეთი უცხო და ძვირფასი იყო რამ მისთა ფასთა შეგდება შეცნიერთაც გაუჭირდებოდათ. რაღა გრძელად მოგასხენათ. ძიძამ ქალისა, ვარამანის მიჯნურობა გამოუცხადა და ანუ ვითა სურვილს მისსა ქალი შეეპურა, უფელეივე უამბო. მისმა მსმენელმა გარდანქეშანმა ამ სამსახურსა ზედ თავდადებით გარჯა აღუთქვა და ესე მოასხენა: ზეი, მნათობო! თქვენგან ნაბოძებს ხანჯალსა და საყურეს მამინ შევბამ ოდეს თქვენ და ვარამანს ერთად მსხდომს გინილავთო. ძიძამ ქალის მაგიერ მადლობა უბრძანა, გარდანქეშანი ძიძას ზირის-ზირ უჯდა, მისთა ზირთა ელვარება სხივის ისარივით გულისა გაეყარა. ძიძა ესრეთ მშვენიერი იყო, რამ თუ სარვიხურამანი იქ არ ყოფილიყო, მამს იტყოდა კაცი ქვეყნად ამხე უმჯობესი ადარ იქნებარო. ადართა უხუცესი მისი ტრთვალდი შეიქმნა, მაგრამ გულისა შინა სთქვა: ამ ძიძას რადენი თმა თავზედ ასხია, ეგოდენი ჩემებრივ ფაღვანნი დაუხრცია და აწ ჩემი საქმე რეგორ იქნებაო, მეტად ტრთვალდი შეიქმნა,



მაგრამ ნამუსისათვის ჭეშრავდა, და ამ ფიქრის მოგონებით უიმედო აქ-
მნა, მაგრამ ძიძის თვალი ვუღარ მიაშორა. რა სარვიხურამანმა გარდან-
ქეშანს შეხედა, ძიძის მიჯნურობა შეატო, მაგრამ არა სთქარა. გარდან-
ქეშანმა სარვიხურამანი დალოცა და ესრე მახსენა: ჭეი, მთიებთა უბრ-
წეინვაღესო! სიტყვა რომელი ჩემად გიბრძანებიათ. მის სულიერს არ გამო-
ურხნადებ—და შენს საყვარელსაც ადვილად შეგერი; მაგრამ მოხსენება ჩე-
მი ეს არის, მიჯნურობის სირცხვილის საბურავი ზირთაგან არ აიხადო,
რომ შენმა მნახვამ სურვილის ტვირთის მომატება არ შეიტყოსო. თუ
კაცმა მიჯნურობა არ დაითმინა, დამერთო! იგი ხიფათს დიდს წაჰკიდებს.

რა ესე გვარნი სიტყვანი მოიუბნეს, ქალი აღზდგა და წასწავლელად
გაემართა. რა შორით უარამანის კარავი დანახა, მღუღანის გულიდამ სა-
ზარელი სულთქმა აღმოახდინა და თხვრით და ვაგებით უშანგის ლაშქარი
განვლო და გზაზედ ბევრი იტინა; თავის კარავში მივიდა, იმ დამეს არც
თვალთა ძილი მიეტა უარამანის ეშხით. რა დილა გათენდა სიბნელის ზე-
წარი დაიხია და ქვეყნის მნათობელმა მზემ აღმოხსავლეთით დასავლეთამ-
დე ქვეყანა განათლა, მამინეუ ერთა დიდთა ხელმწიფეთა ლაშქართა ში-
გან სამხიარულთა საკრავს შეკბურეს, ამ მშვიდობისათვის უფველი სული
ხარობდა და მათგანთა მწუხარება აღარავის ჭჭინდა. ძლიერი ხელმწიფე
უშანგი თავის ბედნიერს ტახტს დაბრძანდა ძვირფასი სამოსელით შეი-
მოსა, სახელმწიფო ზოსტერი წელთა შეირტყა, ხელმწიფეთა ხელმწი-
ფობის გვირგვინი თავს დაიდგა და ესრედ შეეზღა, თუ ვსთქვამთ, მნა-
ხვთ თვალის მოშორება აღარ ენდომებოდათ. გარდანქეშანმა აქრის სკამი
მოიდგა და ხელმწიფის ახლოს დაჯდა და რაც სარვიხურამანისაგან სმი-
ნოდა უფველივე ხელმწიფეს მახსენა.

ამ ამბის სმენითა ხელმწიფე უშანგი დიდსა სიხარულსა მიეტა, და
გარდანქეშანს უბრძანა „ჭეი, აიართა სარდალო! ამ საქმისათვის უფა-
ლს ვმადლობ, რომ უარამანი თავის შესაფერს ცოლს შეეურებაო, აწ მნა-
დებს გვიანდა რომ თხნივე იგი მოწონებულნი ქალ-ურამნი ერთად შევე-
რათ. დიდმა ინდოთ ხელმწიფემ რაჭინდმა უშანგი-მანისათვის საძვინოდ
ფეშქაშები მოამზადა, ათ-თორმეტ ათასს სწილოზედ თითო და თითო მუ-
რასად მოჭედდელი ტახტი იდგა, და თითო ზანგი (მესწილოე არაბები) მთ
ზედ იდგენ, უფველთა ტახტებით თვალი და მარჯალიტი ეჭირათ თითოეს
და თითოეს თვალის და მარჯალიტის ფასის შედგენა შეგნიერთაც გაუჭირ-
დებოდათ. მათთან ასი-ათასი მშვენებით კაცთა ცნობის მიმტაცებულ-
ნი ქაღნი მოჭევიანდათ: ამათ თორმეტი ათასი აქრის სარტულსანნი
მოხანნი მოსდევდენ. თორმეტ-ათასს აქლემს ფარჩანი ეტვირთათ და ცე-



და-თორმეტ-ათასს აქლემს აგრეთვე თვალ-მარჯალიტი და აქრო ეკიდა.

რად გრძლად მოგასხენათ. რაც ინდოთ სახელმწიფოთში უცნო და ძვირფასი რამ იშოვებოდა უფოელივე უმანგ-ხელმწიფის საძღვინად მჭქქან-დათ, მოიღეს უველა ზემოხსენებულნი ძღვენნი, ქალმა მშეენებით სრულმა სარგინურამანმა, თავის მამის გამოგზავნილი ძღვენი მოართვა. რა ამ ძღვნის მირთმევისგანაც მოიცალეს რაჭინდ ინდოეთის დიდებულებით უმანგ ხელ-მწიფის სანახავად მოვიდა. უმანგმა თვისთა მეფეთა დიდებულთა სარდალ-თა და ფაღვანთა წინ მიგებება უბრძანა. იგინი ძვირფასის სამცხლით შეიმოხსნენ, ინდოთ ხელმწიფეს წინ მიეგებნენ და წესისამებრ მიესალმნენ. ზოგნი წინ გამოუძღვენ, ზოგნი აქეთ-იქით მოსდევდნენ და დიდებით წა-მოიყვანეს. რა უმანგის კარავს მოახლოვდნენ, კარების ორსვეც მსარეს ოთხ-ოთხი ათასი ჩაუშნი იღვნენ, ხელთა აქროს ჩოგანნი ეპურათ და მუნ მეფე ერთა, შიარს დგომს უძახდნენ. ესე იყო მომზადება უმანგ-ხელმწიფისა. კარავში ოც-და შვიდმეტი მურასა სვეტიანი უცნო სახელმწიფო ტახტი იდგა, ზედ უმანგ-მაჭი ბრძანდებოდა, ექვსი ათასი აქროს სელი მარჯვნივ და მარცხნივ გარიგებით იდგა და მას ზედ მეფენი, სარდალნი და ფაღ-ვანნი ისხდნენ, მათ თავს თორმეტი ათასნი აზჯრით და მუზარადით შეტურვიდნი მცირედნი ფაღვანნი იდგნენ, წინაც სამასნი ათასნი ვეზირ-ნი და ქვეყნის გამგებულნი აქიმი და ფილასოფლანი ისხდნენ. ხელმწიფის ჰირის-ჰირ მანდატურთ უხურესი იდგა. მასთან შვიდასნი მწერალნი ისხ-დნენ, ხელთა აქროს საწერლები ეპურათ, მეჯანი მუშკით შეეზავებინათ და უფრნის კალამს რიტორის ენის ნარი-ნურის სიტყვით ამქმედებ-ნენ ქაღალდით. დედანნი მათს გულს არ დაიჭერდნენ. ისეთნი მეცნიერ-ნი და ტკბილად მოუბარნი იყვნენ, რამ თუ ვსთქვათ ხვრილთაგან გველს გამოიყვანდნენ და მთავრე მათის საბურისათვის თვისსა სწრაფად სიარულ-სა დაწუნარებდა. ქაჯთა მათი მუსაიფობა ენატრებოდათ, ისეთნი მრცხვე-ლნი იყვნენ რამ შვიდთა იუფითა ხარაჯს ერთის წუთის კალამ გან-კვეთობით აღრიცხვიდნენ. რა ინდოთ ხელმწიფემ ამითი ესრედ გარი-გება ხანა, დიდად მოეწონა. რა უმანგ-ხელმწიფეს შეხედა, ოცდა თორმე-ტის მწერთის სიმადლის მქანებულთ, ტახტს იჯდა, თეთრი წვეკრი ჰირსა შუქსა აყენებდა, თავისი ხოსროვიანი თავი თავს ეხურა, და ტანსა სამ-სული სრულიად აღმასით შემზადებული ემოს, ტახტის უკან თორმეტი ათასი შინა-უმანი კარგის ქცევისანი გარიგებით იდგნენ. ამით გარდა ქვემოთ შვიდმეტყვერ ასი ათასი მოლაშქრენი ერთი მეორესთან მხარ მიერდობი-ლი იდგნენ. რა ინდოთ ხელმწიფე ახლეს მოვიდა, ერანთა და თურანთა მეფენი ზე აღზდგნენ და წინ მიეგებნენ, მიესალმნენ, მარჯვნივ და მარც-



ხნივ მოუდგნენ და უმანგის ტახტთან მიიყვანეს. რაჭინდმა ტახტის წინ თავი დაუკრა და ხელმწიფობა უმანგისა დალოცა, თვისთა შეტრდობათ მიტევება სთხოვა. რა უმანგმა რაჭინდისაგან ესრეთი სიმდაბლუ ხსნა, ტახტიდამ ძირს ჩამოგოდა ხელი მოჭკიდა და ჰირსა აკოცა. შერმე მისთვის ტახტი მოადებინა, თავისი ტახტის სიახლოვეს დაადგმევიანა, რაჭინდი მიიყვანა და მას ზედ დასვა ერანით გაქტეულები მეფენი რამელებიც ინდოთ ხელმწიფესთან ივენენ, ესე იყო სახელები მათი: ხავაღ-ჭავჭავაძე, შერმა-ჭავჭავაძე, მოგლან-გაჭარ-ჭავჭავაძე, აგიუ-ჭავჭავაძე, ჯიმშუდ-ჭავჭავაძე და ხმრუშიდ-ჭავჭავაძე. ესენი თითო-თითოდ მოვიდნენ, უმანგ-ჭავჭავაძეს თავიანთ სტეს, დალოცეს, ქება შეასსეს და თავიანთ დანაშაულის მიტევებას ეაჯნენ. უმანგ-ჭავჭავაძემ ივინი მოიკითხა, მათ შეტრდობა ახატოვა და თავიანთ შესაფერს ადგას დაჯდომას უბრძანა და ივინიც დასხდნენ, აწ ბანოვანთა ხელმწიფე სარვიხურამანი შემოვიდა, უმანგ-ხელმწიფეს თავიანთ სტა საფერი ქება შესსხა და მრავალი რამ უცხომისარათმევეელი მთართავა, კრძალვით და მოწიწებით ბოღიშს მოითხოვდა. რა მისი საუბირის ხმა ურამანს მოესმა, სირინოზთა ხმა ეგონა და მას ზედან მრავალი ლექსი სთქვა. უმანგ-ხელმწიფემ სარვიხურამანს მრავალი სამადლობლო სიტყვები მოასსენა და ბანოვანთა თანა შესვლა უბრძანა.

რა ქალი მათთან შევიდა იგი არე ესრედ დამშვენდა თუ ვსთქვათ ვითა მზე ვარსკვლავთ სწვევოდა. უთრანის ცოლი უამრდოები წინ მოეგება, ხელსა ხელი მოჭკიდა და გვერდსა დასვა ბანოვანნი ზე აღზდგნენ და სარვიხურამანს წინ მიეგებნენ, და ტკბილის მოუბარის ენით ერთმანერთს შეაქტევედნენ, მას დღეს უმანგ ხელმწიფემ ნადიმი გამართა დვინის სმას ხელი მიჭვეკეს. ესრედ იყო წესი, ზირველად ჩუმობით ჭიქას დალევედნენ, შორე დალევაზედ დიდებულნი ერთმანერთს უცხოთა სიტყვებით ესუმრებოდნენ და შესამე დალევაზედ მგოსანთა ტკბილი ხმინობა შეიქმნებოდა. შექმნეს ღვინი საკვირველი, რამ მისთანა ღვინისა და შექტევის მნახავი არავინ იბოვებოდა. სმარსნი ესე იტევიან, ზეცით ანგელოზნი უჭვრეტდნენ და მათთვის ესრეთი განცხრომა შემურდობდათ. მადღმა და ძრეღმა უმანგ-ხელმწიფემ ბრძანა. შვიდთა იულიმთა წიგნი მისწერეთ და ესე მშვიდობის ამბავი შეატყობინეთ, რათა ეოველის ქვეყნისა ივლევეანთა ხმალი ქარქაშთა ჩაგონ. მშვიდღეს მათსა საბელი ახსნას და აწ ცხვარი მკელთაგან ნულარ იშიშვისო. განსმა ეოველსა ქვეყანას ეს ამბავი და იხარებდა ეოველი სული, ესე რამ ვსთქვათ, მათსა გულსა შინა შეჭირვება ადარა ითხოვებოდა.

ხელმწიფემ ვეზირთა უხუცესი მოიხმო და ესე უბრძანა: მნებავს რამე სარვიხურამანი ურამანისთვის ვითხოვო, რამ ესენი საწადელს თვისსა



ეწვივნენ. ვეზირთა უხუცესმა მოახსენა: ხელმწიფეო, ვინ არს ბრძანების თქვენის შემცილებელი, მაგრამ ვედრება მონათა შერთა ისმინე და ჟამი არ არის ქალის თხფინისა. ვინაიღვან უველანი ღვინო სმულნი არიან, აწ ამ სჯემს დავესხნათ და ხვალისად ვითარცა ბრძანება თქვენი იუოს, ისრე აღვასრულოთო. ხელმწიფემ ესე მოხსენება მოიწონა და მტირე ხანს ღხინს შეექცნენ. მერმე სუფრის აღება ბრძანა. რა ნადიმი გარდასწყდა უოველნი თავთავისად წარვიდნენ, ყარამანიც თავის კარავს მივიდა, სარვი-ხურამანი ბანოფანთა გამოეთხვა თავის კარავს მივიდა, დაჯდა და მარადის ყარამნიკენ ქქინდა ჭკუა და გონება, მტირე ხანს შემდეგ ძიძის უთხრა: ხელავ ბედსა ჩემსა, რომ გარდანქქმანსაც დავაფიწედითო, ძიძამ მოახსენა: ჭეი, თვალთა ჩემთა ნათელი! ნუ შეიჭირვებ, გვონებ, იგი გრძიუელთა უხუცესი აქ მსწრაფად გამოჩნდესო.

რა ესენი ამ საუბარს ივენენ გარდანქქმანი კარავში შევიდა, ქალს თავიანი სცა, ქება შეასხა და დალოცა, ქალმა მატოვით მოიკითხა და დაჯდამა უბრძანა, მონამ ოქროს სელი მოიღო და აიართა სარდალი მას ზედ დაჯდა. ქალმა იმ ნადიმის ამბავი ჰქითხა და გარდანქქმანმა ფოველი უოფილი მოახსენა. რა მტირე ხანი გამოსდა ქალმა ბრძან-ჯიბილის ამბავი ჰქითხა, აიარამ უველა წვრილად მოახსენა, თუ ვითა ბრძან სუვარ-ლითა თვისითა ქვათ ქმნილიყო და ანუ თავის შემწეობით ვითარ მორჩენილიყო. ქალს მათი სჯემე მეტად გაუგვირდა. გარდანქქმანმა მოახსენა: ჭეი, კეკლურთა დედოფალი! უკეთუ ბედნიერების წალკოტს შინი კაცთა ბედი დაურხრამელად მოქმედობს, მისი სჯემე ფოველივე კეთილად მოხდება. თუ სძინავს და არ მოქმედობს, მისი სჯემე აქაც არ კეთილდობსო. ქალმა უთხრა: ჭეი, გარდანქქმანო! ბედ-კეთილობის წალკოტს რომელ იტყვიან მაგისი ამბავი მარცხზე თუ ფოველი ვითარ არისო.

აქ გარდანქქმანისაგან ბედ-კეთილობის წალკოტის ამბის ნბობა სარვი-ხურამანის წინაშე.



აიწყო გარდანქქმანმა საუბარი ესე: ოდეს აზრალი მეთილისმემ მე არწივად გარდამაქცია, მისი წვეულის თილისმისაგან ათარ მეთილის-ში მიმარჩინა. რა მან ბილწმან ჩემი მორჩენა იგრძნო, კვალად თავისი უღალკუნება ჩემზედ იხმარა, კანჯრათ გარდამაქცია და ოკიანეს ზღვის კუნძულში დამიტყვა. შეიდი წელიწადი მას კუნძულში ვლიდი: დღეს ერთსა ათარ მეთილისმე შემხვდა, რადესაც მხასა მასვე წამს მიცნა და

კუნძულში



ესრულდ შითხრა: წეი, სწავლად გარდანქეშანო! ეგ რა დავმართიანო? მე სიტუაციის თქმა არ ძალ შედვა. მაგრამ საუბარი ვაველივე შესმელა. რა თვალთვან ცრემლი გადმომედინა მას მეთილისმესაც შეგვეწვალე და ესრულ შითხრა: წეი, გარდანქეშანო! შენის ხსნის დანე ამისგან კიდე არა რა არისო, აქ ახლას ერთი ალაგია, დღეს ვაველნი თილისმის მეტნიერნი იმ ალაგს შეიურებიან, ქაჯთა ხელმწიფე მთავ და ტანტზედ დაჯდება. ვაველნი თილისმის ხელაფანნი თვისსა ხელაფანებს მთასსენებენ, რამელსაც ხელაფანებს ნაკლებულეთ გვექნება იგი გვასწავლისო. შენ იმ ალაგს მადი მას ტანტის სიანლაფეს მადწიე. ნუ თუ მას შეებრალად და მაც შეჭირვებისგან მოგარჩინისო. ესე შითხრა და მეთილისმე იგი წავიდა, მეც მსწრაფის სიარულით იმ ალაგს მივალწიე, მოვიდნენ ქაჯნი, გრძიეულებით სავსენი მეთილისმენი რამელთა რიცხვი არ შეიკლებოდა.

რა მტირე ხანი გამოსდა, ქაჯთა ხელმწიფეც ამოვიდა, სრულიად აღმასით შემზადებული ტანტი დაუდგეს, მას ზედ დაჯდა. რა იგი ტანტი დაინახე, მიველ მას ტანტის წინ დავეცი და თვალთვან წყაროსებრ ცრემლი გადმომედინა. რა ქაჯთა ხელმწიფემ მე შემომხედა მასვე წამს მიდნა და ესე სთქვა: ვის უქნია ისეთი უწესო საქმე რომ გარდანქეშანი განჯრად გარდუქცევიანო? თქვენ არ იცით რომ გარდანქეშანი ჩემი ერთგულიანო?.. ამბულა თქვენი ხელაფანებს აღარავინ სცადოთო. მამინ აზრად მეთილისმე წამოდგა და შემცლელსავით დადგა. ხელმწიფემ იგი შერისხა და ჩემი ეგრეთვე კაცთა ქმნა უბრძანა. მან რადაც თილისმა მიჭეო და ჩემსავე სახელ ვიქმენ. შერმე ქაჯნი წარმოდგნენ თავთავისი ხელაფანებს მთასსენეს და ვისაც რა აკლდა, მევემ მათ მთასწავა.

რა ამ საქმეს მოჩნენ, ქაჯთა ხელმწიფემ ბრძანა: ბედ-კეთილბობის წაღკოტს ვისიც ბედი მსწრაფად მოქმედებს, მას სცდელი არ წავკიდებო. რა ესე შესმა მე მოვასსენე: „წეი, ქაჯთა ხელმწიფეო! ესე სიკეთე რამელ ჩემზედ ჭეუ და ბირუტყულობისგან მომარჩინე, ესე წყალობაც მიუაჯი რომ ბედ-კეთილბობის წაღკოტის მიჩვენე მეთქი“. ხელმწიფემ მასვე წამს ორ ქაჯთა უბრძანა გარდანქეშანს ბედ-კეთილბობის წაღკოტი უჩვენეთო. მუნადგან ჩინეთის სამზღვარ მიუვანეთ და იქ გაუშვიეთო. ქაჯთა მსწრაფად წამომივანეს და მას წაღკოტს მივედით, ვნახე ალაგი მშვენიერი და მას შიგან მრავალნი კაცთა მგზავსნი ვიდანიც იუვნენ. ზოგთა ეძინათ, ზოგს ეღვიძათ, ზოგნი ველად ვიდოდნენ, ზოგნი მსწრაფად მოქმედებდნენ და ზოგნი ნელად მოქმედებდნენ, ზოგნი ჩარხს აბრუნებდნენ მსწრაფის ქცევით, ჯურღმულით წყალს იღებდნენ და ქვეყანას ზედ აქცევდნენ. ერთი კაცი მსწრაფად ჩარხს აბრუნებდა რომ მე დიდად

გამიკვირდა იმისი სისწრაფე; იგიც ჯერდმულით წყალს იღებდა და ქვეყნასზედ აქცევდა.

მათ ქაჯთა ვკითხე, ეს ვინ არის შეთქი? მათ მითხრეს ეს უშანგ-ხელმწიფის ბედი არისო. ვისი ბედიც აქ მსწრაფად მოქმედებს იგი ქვეყანაშია ბედნიერი იქნება და ვის ბედსაც აქ სძინავს ანუ ნელად მოქმედებს, მას ქვეყნასზედ კეთილი არ დაემართებაო. იქ ერთი ბერი კაცი იყო, რომელიც თუმცა ჩქარა ვიდოდა, მაგრამ სხვებსაგვით ვერ დადიოდა და ვერც მოქმედებდა. მათ ქაჯთა ვკითხე: ეს ვისი ბედია შეთქი, მათ მითხრეს, გარდასქეშნა, ეგ შენი ბედი არისო, მე ხსნჯალს ხელი მოვიკარ და ვსთქვი: ამ ბერს კაცს მოვკლავ შეთქი. ქაჯთა ესრედ მითხრეს: ჭეი, გარდასქეშნა! თუმცა თვალითა ხედავ, მაგრამ კაცთაგან მაგათი ხელის შეხება არ ეგებოსო, ამისთვის რომ ხორციით არ არიანო. რა ესენი ესრედ ვნახე ქაჯთა უთხარი ახლა წავიდეთ შეთქი, მუნიდგან წამიუვანეს და ჩინეთის სამზღვარზედ გამიშვეს, რომელიც უშანგის სამიფეთს სამზღვარი იყო. ეს ამბავი სარვინურამანს დიდად იამა და გარდასქეშნის ქება შესხსა. რა მცირე ხანი კვალად მოიუბნეს განთიადის ყამიც მოახლოვდა, გარდასქეშანი ზე აღსდგა, ქალს თაყვანი სცა და თავიანთ ღაშქარში წავიდა.

რა დილა გათენდა დიდებულნი ხელმწიფის წინაშე შეიყარნენ, გარდასქეშანი შევიდა ხელმწიფობა უშანგისა დალოცა და თაყვანი სცა, ხელმწიფემ უბრძანა, გარდასქეშანო, ყამი არის რომ სარვინურამანი ყარამანისთვის ვითხოვთო. აიარმა მოახსენა: ჭეი, მაღალა ხელმწიფეო! ბრძანება თქვენი აღსრულდესო, მაგრამ ვგონებ რომ ინდოთ მეფე თქვენს მსმინდობას ღამობდესო, ჯერ იგი გარდასწედეს და შერე ქალი ვითხოვთო. უშანგ-ხელმწიფემ ამ მოხსენებაზედ ნება დართო და ბძანა: ეგრე ვქნათო. მამინ უშანგ-ხელმწიფე თვისსა ბედნიერს ტახტს დაბრძანდა: სარდალნი და ფაჯვანნი წესისამებრ დასხდნენ.

მცირე ხანს უკან ინდოთ ხელმწიფე რაჭინდი თვისის დიდებულებით მობრძანდა, უშანგს თავი დაუკრა და მოახსენა: „ჭეი, მაღალა ხელმწიფეო! ვედრება მაქვს რომ ბედნიერმა ფეხმა თქვენმა თავი ჩვენი დაღასოსო, სახლი და საყოფი ჩვენი თქვენის მობრძანებით განათლდესო“. რა ხელმწიფემ ესე მოისმინა მსწრაფად ნება დართო. რაჭინდმა მოახსენა: ბრძანეთ ღაშქარი აიყაროსო. უშანგმა ღაშქრის აყრა ბრძანა, მასვე წამს აიყარნენ და ინდოეთისაკენ გაემართნენ. მათსა სიანლოვეს ქალაქი იყო მშვენიერი და კეთილ-ჭაეროვანი, სარვინურამანი მსწრაფად წარვიდა და იმ ქალაქის ერნი უცხოს ძღვნიებით წინ მოეკებნენ. იმ ქალაქის ახლოს მინდორი იყო ტურთა და მრავალ-უვალილოვანი. უშანგ-ხელმწიფის რვა

სვეტიანი კარავი იმ ადგილს დადგეს, ძვირფასი ფარხის სალათარდანი
გარს შემავლეს. უშანგ-ხელმწიფე ნადირობით, მოვიდოდა, ერთს ალაგ
ურცხვინი კანჯარნი იღებენ, ფალავანთა მსწრაფელ ალყა შემავლეს.
რა ხელმწიფემ მათი სიმრავლე ნახა, დიდად იამა, ვინც მისს სახლ-
ვეს ყოფნის დიქნი იყო გვერდით ახლდნენ, მათ უბძანა: თუ ჩემი თავი
გიუფართ ამ ნადიროვან ნურც ერთს ცოცხალს ნუ გაუშვებთ. მამინვე
ვეკლანი მიეტევნენ, ზოგი მოკლეს, ზოგი შეიპყრეს, კანჯარნი ერთიც
ვერ გაექცათ. იმოდენა ნადირი დახტეს რომ რიცხვს ვერავინ შეაგდებდა
ხელმწიფე მალაღ ბოცრვას აბრძანდა: ქალაქის შენობას და მისს მიდ-
მის უჭვრეტდა. იმ ქალაქის შენობა დიდად მოწონა, მუნდგან გამო-
ბრუნდა და სადაც დაშქარნი ტურფა ველს გადმომხტარიუნენ, მას ალაგს
მიბრძანდა, რაჭინდი მივიდა უშანგი ცხენიდამ გადმოიფანა და კარავ-
სა შევიდნენ. უშანგ-მაჭი ტახტს დაბრძანდა, დიდბუღნი წესით თავთავი-
ანთ შესაფერს ალაგს დასხდნენ, წინ ნადიმი დაიდგეს და სკვირველი ღნი-
ნა და მხარულება გადაიხადეს. რაჭინდმა მრავალი ხატოცხანი და უფასო
თვალნი უძღვნა. მეორე დღეს უშანგ-მაჭი რაჭინდმა ქალაქს მიიწვია, იგი-
ნიც კარგის შექცევით წავიდნენ. უშანგ-ხელმწიფეს ორასი შათირი წინ
მოუძღვოდა რომელთა აღმასის ეყვანი მუხლთა ესნათ ყოველთა, ათასნი
მრწველებნი წინ მოუძღვოდნენ და მიწას ზედა ვარდის წყალს აზრუერებ-
დნენ ამისთვის რომ ხელმწიფეს და მისთა მხლებელთა მტვერი არ მიედი-
ნოთ. ოთხ ათასს კაცს ხელთა ოქროს ჯამები ეპურათ, და მას შიგან
მუშას და ამბოცს აკმევდნენ. წინ ბარამ-ჯობილი მოვიდოდა რომელსაც
სამოც-და ხუთი მწერთა სიმადლე ჭქანდა, მას უკან ერანთა და თურანთა
ფალავანნი მოზდევდნენ. ხელმწიფის წინ ფალავანთა უხუცესი ყარამანი და
მისი ბიძის ძე უათრანი, უცხოს შექცევით მოვიდოდნენ. ყარამანი თვის ექვს
ფეხავანს მხეცს იჯდა, თავი თავს ეხურა და აღმასით შემზადებული სა-
მოსი ემოს. ისეთის მშვენებით მოვიდოდა რომ, მჭვრეტელთა თვალის
მოშორება არ ენებათ. უშანგ-ხელმწიფეს ორი ათასი ჯალათი და ორასნი
ჩაუშნი მოუძღვოდნენ, მარჯვნივ და მარცხნივ სამს სამოცნი ვეზირნი მოზ-
დევდნენ, გარდანქეშანი და სხვანი აიარნი ხელმწიფის სახლავეს მოდი-
დნენ, ორი ათასნი მორთულებნი და კარგის ქცევისანი მონანი ხელმწიფის
სახლავეს მოდიოდნენ. მალაღს და ძლიერ უშანგ-ხელმწიფეს თავი თავ-
ს ეხურა და ძვირფასი სამოსელი ემოს ორსა სწილასა თვალ-მარგალი-
თი ეკიდა და გზაზე მონანი ხელმწიფეს თავს გარდაყრიდნენ და მუნ მუ-
ყი საქანლითა ივსებოდნენ. მქალაქეთა სამსა ალაგზედ ძვირფასი ფარ-
ხები ფინანდაზად გაეშალათ. რა ქალაქის კარს მივიდნენ ყარამანი მხეციდგან



გადმოხტა, სხვანიც ფაღვანნიც ცხენებიდამ გადმოხტდნენ და ხელმწიფეს ქვევითად წარმოუძღვნენ. რა სახელმწიფო სარაიას მივიდნენ, ხელმწიფე უმანგი ცხენიდამ გადმოხტა და სარაიას შევიდნენ. უმანგ-შაჭი ბედნიერს ტახტს დაბრძნდა, დიდებულნი და ფაღვანნი თავ-თავის შესაფერს ალაგს დასხდნენ, მოიღეს სუფრა და სავგირველი ღვინი გამართეს. შგოსნთა ხანგთა ხმიანობა გაამრავლეს, და საამის ხმით დამღერდნენ.

რა ყარაშანი ღვინის სმით ზარხოში შეიქმნა, გულში სიფვარულის ეშვი განუძრავდა. სარვიხურამანი ზირისზირ უჯდა და იმას თვალს არ ამოკრებდა. ქაღის გონება მიჯნურობის ქამანდს შეეპურა და თავისი თავი ყარაშანის ჭირის სანაცვლად გაეხდა. რაჭინდ ხელმწიფემ უმანგ-შაჭისთვის მრავალი უცხო და სავგირველი ფეშქაშები მოაღებინა ისე რომ კრან-თურანთა დიდებულთა გაუგვირდათ. რაჭინდი და თავის ასული ზე აღზდგნენ ხელცახოცი კისერს გადაიგდეს, შემცოდესავით დადგნენ და მოახსენეს: „სტეი, შარეილა! ჩვენ მონანი თქვენნი ვართ ბრძანებისა თქვენის მოჩილნი და რასაც კვიბრძანებ თქვენ სამსახურსა ზედ მზათ ვიქნებით“. უმანგმა მსხუხად მიუგო: რაჭინდი, ინდოთ ხელმწიფეო! თქვენ და თქვენი ასული სარვიხურამანი, ჩემი ძმა და შვილი ხართ. თქვენგან ამოდენა სიკეთის მოღებას გადავიხდიო. შემდეგ ქეივან-შაჭა მოიხმო, იგი მსწრაფად მივიდა, კისრიდან ხელცახოცი ახდა, უცხო სამოსლის მოღება ბძანა უმანგ-მა. მოიღეს, ორნივე მამა-შვილნი ძვირფასი სამოსლით შემოსეს, თავი თავს დაადგეს და თავ-თავის ალაგს დასხეს, დიდი ხადიმი გამართეს, მამის უმანგი გამხიარულდა და იმის ლაშქარს მრავალი წყალობა გასცა.

როდესაც ხადიმი გაიყარა. რაჭინდი თავის სადგომს წავიდა. კრანელნი დიდებულნი და ფაღვანნი შეიყარნენ და რაჭინდთან მივიდნენ—და კველურთა დედოფალი სარვიხურამანი ყარაშანისთვის სთხოვეს. რაჭინდმა დიდის სიხარულით ინება. მამის ფაღვანთა და დიდებულთა მადლი გადაუნადეს და სვალისად ქარწინის თავდარიგი იწვეს, ამ ამბვის მსმენელნი ქალ-ყრმანი დიდს სიხარულს მიეცნენ, მაგრამ არ იცოდნენ თუ დილა მათთვის სამწუნარს დაჭბადებდა.

როდესაც უმანგ-ხელმწიფემ ინდოეთი დაიპყრა, მას წინად რაც ცხენს ამხედრებუდიყო და ხმალი შემოკრტყა, მას აქეთ ათას-შვიდას ომში გამარჯვებულიყო. ყოველივე ქვეყანა ხარობდა და ბძანებას მისსა მოჩილდობდნენ. ფაღვანებმა და სარდლებმა მშვილდს საბელი ახსნეს და ხმალი ქარქაშს მიატყდეს. გაისმა ეს ამბავი ყოველს ქვეყანას და შვიდთა იუღიმთა შინა ადარა იუფრას შეტირვება გულთა მოქალაქეთასა.

(ამის გაგრძელება მეორე კარში იხილეთ).

